# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 30 სექტემბერი, 2014 წელი.

№198-199 (7579-7580)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## ყოველდღიურად მკვლელობების გაშუქება საზოგადოებას სტრესში აგდებს

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მედიას მოუწოდებს, ნაკლებად გააშუქოს კრიმინალი.**



როგორც პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას განაცხადა, ყოველდღიურად აჩვენებენ ინფორმაციას მკვლელობებისა და ომების შესახებ, რაც ხალხს სტრესში აგდებს.

**„თითქმის ყოველდღე აცხადებენ იმის შესახებ, რომ ადამიანმა ადამიანი მოკლა, შვილმა მშობლები დახოცა, მშობლებმა შვილები დახოცეს და მრავალი ასეთი სხვა. ამას აჩვენებენ, როგორც რაღაც აუცილებელს. მე მინდა, მივმართო ჩვენს პრესას, ჩვენს ტელევიზიას, ჩვენს რადიოს, მინდა, დიდი პატივისცემით მივმართო ჩვენს ჟურნალისტებს, ჩვენს ხელისუფლებას, რომ როცა ჩვენ ვაცხადებთ ასეთ ნეგატიურ მოვლენებს, ჩვენ ტრავმას ვაყენებთ ჩვენს ხალხს. ჩვენ ვაძლევთ მაგალითს, რომ ხალხმა შეიძლება ეს საშინელი ცოდვა ჩაიდინოს, ამიტომ იქნებ არის საშუალება იმის, რომ რაც შეიძლება ნაკლებად ვთქვათ ამ მკვლელობების შესახებ“,** – განაცხადა ილია მეორემ და დასძინა, რომ ეს არის დიდი ჭრილობა და ტკივილი ყველა ადამიანისთვის.

უწმინდესი მიიჩნევს, რომ მკვლელობების შესახებ ინფორმაციის ტირაჟირება მაგალითის მიმცემია. **„როცა ჩვენ ვაცხადებთ მკვლელობების შესახებ, ამით ჩვენ მაგალითს ვაძლევთ ჩვენს ახალგაზრდობას, ჩვენს თაობას, რომ ეს დასაშვებია და ეს შეიძლება მოხდეს დღევანდელ დღეს. აი, ამიტომ ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს ხალხს. ჩვენი ხალხი როცა უყურებს ამ მკვლელობებს, თითქმის ყოველდღე აჩვენებენ ომებს, სიკვდილს, საშინელ სტრესში ვარდება და ამიტომ ნუ ვიზამთ ამას. ხომ კეთდება სიკეთეც. ბევრი სიკეთე კეთდება დედამიწაზე და ჩვენთანაც. ვთქვათ ამ სიკეთეზე, ვანუგეშოთ ჩვენი ხალხი, რომ საჭიროა სიკეთის კეთება. სიკეთის კეთება ადამიანს აძლიერებს, იმედს აძლევს მომავლისას. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ ბოლოს და ბოლოს, გავიგებთ, ვინ ვართ ჩვენ. ჩვენი ხალხი ღვთის რჩეულია. რჩეული რომ არ იყოს, ამდენ სიკეთეს არ მოგვცემდა უფალი“,** – განაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

## გაფლანგული მილიონები და გადაუჭრელი პრობლემები



„აგვისტოს 5 დღე და სოზარ სუბარის გადაწყვეტილება“

6

## „რუსეთთან არაფორმალური დიალოგი ბიძინა ივანიშვილმა უნდა წარმართოს“!

4

ივანიშვილი - ივანოვის ფორმატი და საქართველო - რუსეთის დიალოგი

## „ვიღაცის მიზანია, საზოგადოებას დაავიწყოს რა ტრაგედიას დატრიალდა ციხეებში“



5

## სამეცნიერო დაწესებულებებს არც ერთი თეთრი არ მიუღიათ!

3

## კომუნალური იურიდიული აბსურდის თეატრი: წარმოდგენის მეორე აქტი?

7

## ნუნუკა თამაზაშვილის კოქტეილის კაბის უჯრა-ჩრდილები



4

## ვულოცავთ ჯანსუღ ჩარკვიანს! სულში „სიცილნათელების“ შემოფრენა ხარ!



23

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

№198-199. სამშაბათი, 30 სექტემბერი, 2014 წელი.

## პრეზიდენტი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გახსნას დაესწრო



ფორუმის პრეზიდენტმა, პროფესორმა შვაბმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს სტამბულში ჩასვლისა და ფორუმში მონაწილეობისთვის და ხაზგასმით აღნიშნა სახელმწიფოთა მეთაურების მონაწილეობის დიდი მნიშვნელობა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი მასპინძელი ქვეყნის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიპ ერდოღანმა გახსნა. მისასალმებელ სიტყვაში მან რეგიონალური თანაშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა და ყურადღება ერთობლივი პროექტების განხორციელების აუცილებლობაზე გაამახვილა. განსაკუთრებით მან ის პროექტები გამოყო, რომლებსაც საქართველო, აზერბაიჯანი და თურქეთი წარმატებით ახორციელებს ერთობლივად. თურქეთის პრეზიდენტი გლობალური უსაფრთხოების, რეფორმებისა და სხვა ეკონომიკურ საკითხებსაც შეეხო.

## მარგველაშვილი ყირგიზ კოლეგას თურქეთში შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი თურქეთში ვიზიტისას ყირგიზ კოლეგას შეხვდა. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, გიორგი მარგველაშვილი და ალმაზბეკ ატამბაევი ერთმანეთს ჯერ პირისპირ, ხოლო შემდეგ გაფართოებული შემადგენლობით შეხვდნენ.

მხარეებმა ორმხრივი ურთიერთობის საკითხები განიხილეს და ეკონომიკისა და ვაჭრობის მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივაზე იმსჯელეს. საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებისა და შესაბამისად, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება საქართველოს მეგობარ ქვეყნებსაც ახალ შესაძლებობებს უხსნის ევროპის ბაზარზე გასვლის თვალსაზრისით.

ორი ქვეყნის ლიდერებმა რეგიონში არსებული ვითარებაც განიხილეს და ყურადღება ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებზე გაამახვილეს.

## ქართველი მინისტრები თეთრ სახლში

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, დავით სერგეენკო აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯონ ქერის და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის სიუზან რაისის პირადი მოწვევით, მსოფლიო ჯანდაცვის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით თეთრ სახლში გამართულ სამუშაო შეხვედრას დაესწრნენ.

შეხვედრაზე მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში გავრცელებული დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები და ერთიანი სისტემის შემუშავების საკითხები განიხილეს. შეხვედრის მონაწილეებს აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ სიტყვით მიმართა. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა გლობალური ჯანდაცვის უსაფრთხოების კუთხით, მსოფლიოს ჩართულობას და სხვადასხვა ქვეყნის როლს ამ პროცესში.

**◉ კრიტიკის კრიტიკა**

## ვის და რატომ არ მოეწონა პრემიერის გამოსვლა გაეროში?!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში დასრულდა. ექსპერტების თქმით, უდავო წარმატებით. თუმცა, არიან უკმაყოფილონიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ხელშესახები დადებითი „ფაილით“ არ დაბრუნებულა. მათ შორის არის „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ დირექტორი ეკა გიგაური, რომელიც ხმალამოღებული ებრძვის ხელისუფლებას. აი, რას წერს ის „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.**

„ვინ არიან ისინი, ვინც უწერენ პრემიერს გამოსვლის ტექსტებს ამ საერთაშორისო სამიტებისთვის... მე მგონი, ყველა, ამ ვიზიტის შემდეგ სამსახურიდან უნდა გაუშვას. კლიმატის საკითხებს ეხებოდა ეს, თუ სიღარიბის დაძლევას და მსგავს საკითხებს?! არც ერთ შემთხვევაში პრემიერის გამოსვლა მოწოდების სიმაღლეზე არ იყო“.

დიდი ხანია, აშკარად გამოიკვეთა არასამთავრობოთა არაჯანსაღი ტენდენცია, რაც განსაკუთრებით ამ ბოლო დროს გახდა თვალშისაცემი. მესამე სექტორი არაკონსტრუქციულია, მათ შორის, ეკა გიგაური. ამიტომაც ამბობენ, რომ არასამთავრობოთა ნაწილს ნაციონალური მოძრაობა აკონტროლებს და აფინანსებს კიდეც. ამ აზრს ამყარებს ეკა გიგაურის სტატუსის გაგრძელება: **„როგორ შეიძლება სიღარიბის დაძლევაზე თუ მსგავს საკითხებზე ილაპარაკო და არ შეეხო კორუფციას. თუ რა მნიშვნელობა აქვს ეფექტიან ანტიკორუფციულ პოლიტიკას თითოეული მოქალაქისათვის. მით უმეტეს, რომ წლებია, საქართველო ამ მიმართულებით დადებითი მაგალითია (რა მნიშვნელობა აქვს, რომელი მთავრობის პირობებში დაიწყო რეფორმა. ეს ხომ საქართველოს მონაპოვარია და ამ მთავრობის ლიდერიც რაღაც ფორმებით იყო ჩართული ამ საკითხებში)“.**

გიგაური მიიჩნევს, რომ ახალი ხელისუფლების წარმატებებზე საუბარი გაეროს ტრიბუნიდან არც თუ მნიშვნელოვანია. რამდენად სწორი მიდგომა აქვს ჩვენს ე. წ. ექსპერტს, თავად განსაჯეთ: **„მხოლოდ საბაზისო ჯანდაცვასა და სოლიდარობის ფონდზე რომ ლაპარაკობ, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ძალიან ვიწრო ხედვა გაქვთ ამ მიმართულებით. კლიმატზე საერთოდ არც კი შევჩერდები... ნუ, არაა გასაშვები ეს ხალხი აშკარად. მართლა შემტკივა გული, ჩვენი ქვეყანა როგორ გამოჩნდება საზღვრებს გარეთ“.**

ჩვენი „ვიწრო“ გადასახედიდან, რატომ „მოგვჭრა თავი“ ღარიბაშვილმა, ცოტა გაუგებარია. გლობალურ დათბობას რომ საქართველოს მსგავსი ქვეყნები ვერ შეეჭიდებიან, გიგაურმაც კარგად იცის და სხვა დანარჩენებმაც. საძრახი რა არის იმაში, თუ პრემიერმა მსოფლიოს კიდევ ერთხელ შეუქმნა წარმოდგენა საქართველოზე, როგორც განვითარების გზაზე შემდგარ ერთ-ერთ პოსტსაბჭოთა პატარა ქვეყანაზე?!. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ მხოლოდ ერთადერთი რამ – რომ ავადმოსურნეებს ხელს არ აძლევთ პრემიერის საგარეო წარმატება.

**ამის შემდეგ, როგორ შეიძლება ენდო მესამე სექტორის „ობიექტურ“ წარმომადგენლებს, რომლებიც, როგორც თითქოს მიუკერძოებელნი, ექსპერტებად გვევლინებიან, ამ დროს კი ხელისუფლებას სამარეს უთხრიან...**

ნია ფიფია

ნაჭრილები

**◉ კიკალიშვილის „კიკალები“**

## ნაციონალების ამერიკული პოსტ-სკრიპტუმი

ე. წ. ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის გადაცემა P. S. ... რამდენიმე დღე აანონსებდა საქართველოს მაოხრებლის (და არა „ექს-პრეზიდენტის“, ან როგორც „მამალი“ ნაცები ამბობენ „პრეზიდენტის“) ექსკლუზიურ ინტერვიუს, რომელიც მანვითომდა ამ გადაცემას მისცა.

როგორც ე. წ. ტელეწამყვანმა დავით კიკალიშვილმა გვაუწყა (ერთი კაკალაშვილია პოეტი და მეორე კიკალიშვილი ტელეწამყვანი) მიხეილ სააკაშვილმა თავად დააფინანსა „რუსთავი-2“-ის ამერიკული ვოიაჟი.




ძალიან საინტერესოა, თუ როგორ მოახერხა ქონებადაყადაღებულმა, ტაფტის უნივერსიტეტიდან გამოგდებულმა და ბებიის პენსიის შემყურე ძებნილმა, ამხელა ტელეკომპანიის „ჟ“ურნალისტის ამერიკული მივლინების დაფინანსება. საინტერესოა ის კადრიც, რომელშიც წვერგაბურძგნული დავით დარჩიაშვილი და მუდამ მოლაყლაყე ზურაბ ჯაფარიძე კამერას ემალებიან. საინტერესოა, თუ ვინ დააფინანსა „ჩანგალზე“ მისული მალულად მომზირალი ეს ორი უსაქმური (თუ ეს ორი არამზადა საქართველოს ბიუჯეტის ხარჯზე აკნატუნებდა ამერიკელი მიშისტების შემწვარი ვარიის ბარკლებს, მაშინ პასუხი „ოცნებას“ უნდა მოეთხოვოს).

ძალიან ეცადნენ ტელეკამერისგან დამალვას, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნე, ზურაბ ჯაფარიძის უაზრო ლაყლაყი მაინც ისმოდა (შეგახსენებთ, რომ ეს ის ჯაფარიძეა, რომელმაც ჩვენს გაზეთს „ფაშისტური გაზეთი“ უწოდა).

მოკლედ რომ ვთქვა, დაწანწალებენ აღმა-დაღმა, ედებიან ღობე-ყორეს, მაგრამ დამერწმუნეთ, ამ დეტექტიური ფილმის ბოლოს მალე ვნახავთ!..

გია გაბრიჭიძე

**◉ ვილუპებით და ეგ არის!**

## კრიმინალმა საბავშვო ბაღებშიც შეაღწია

პარასკევს საღამოს ნამდვილად გული გამიხეთქა „რუსთავი-2“-მა... გადაცემა იმით დაიწყო, რომ საქართველო საბოლოოდ კრიმინალური ქვეყანა გახდა. პირდაპირ არა, მაგრამ ამ ვრცელი ინფორმაციის აზრი ის იყო, რომ საქართველოში მშვიდობიანობის დამამყარებელი, ქართული პოლიციის გარდამქმნელი, საქართველოს ხერხემალი (მერე რა ვუყოთ, თუ ცოტა ჩლიფინაა!) ვანოია მერაბიშვილი ციხიდან უნდა გამოვუშვათ და ამჟამინდელ იმის საკანში ახლანდელი მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე ჩავსვათ (მერე რა ვუყოთ, ვანოიას ჩლიფინისგან განსხვავებით ჭიკაიძე თუ საერთოდ უენოა და კრინტს არა ძრავს!). „რუსთავი-2“-ის აზრით, სხვაგვარად კრიმინალს საქართველოში ვერ მოვერევით (ეს აკი ნაციონალთაგან დაფინანსებულმა, ამერიკაში ნაციონალთაგანვე გადახვეწილმა ქართველებმაც თვით ბოკერიას ხმით აღნიშნეს გაეროს წინ გამართულ სახელდახელო მიტინგზე და რაფალიანცის ჩახლართული საქმის გამოძიება მოსთხოვა კრიმინალ მეოცნებეებს!).



რაფალიანცის დღემდე გამოუძიებელ მკვლელობას (არამზადებმა ქვევრში ჩაახრჩეს ჩვილი თავიანთი ბნელი პოლიტიკური მიზნებისთვის!) აგერ ახლა კი თბილისის ერთ-ერთ კერძო საბავშვო ბაღში ორმა ოთხი წლის ბიჭუნამ მჭრელი სათამაშოებით იჩხუბა და ერთ-ერთმა საშინლად დაკაწრა მეორე (პირდაპირ საკვირველია, როგორ ეძინა იმ ღამეს მინისტრ ჭიკაიძეს. ვანუას დროს ეს ხომ არ მოხდებოდა!) და ატყდა, მაგრამ რა ატყდა! გამიშვი და გაგიშვებ! დაკაწრული ბავშვის მშობლებმა საქმეში ჩართეს ექსპერტიზაც, პროკურატურაც, რადგან ჭიკაიძის პოლიციას არ ენდობიან.

რა შეიძლება ყოველივე აქედან დავასკვნათ? რა და, რახან კრიმინალმა საბავშვო ბაღებშიც შეაღწია, გამოსავალი მხოლოდ ერთია: ნაციონალებს, კერძოდ, ირმა ნადირაშვილს, უნდა დავუჯეროთ და მერაბიშვილსა და ჭიაკაიძეს კაბინეტები უნდა შევუცვალოთ. სხვაგვარად საქართველო იღუპება, ხალხო!

დაუნ აუტაშვილი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 568 82-09-84..

ეკონომიკა



# რას წარმოებას დაეხმარება

## საგადასახადო ცვლილებები, რომლებიც საქართველოს სჭირდება

**როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულია საგადასახადო კოდექსის ცვლილებები, რომლებიც გარკვეულ შემთხვევებში დაბეგვრის ახალ წესებს ამკვიდრებს და ფინანსური ამნისტიის ელემენტებსაც შეიცავს. ექსპერტების აზრით კი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის უფრო ფართომასშტაბიანი რეფორმირება ესაჭიროება.**

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული პროექტის მიხედვით, საქმიანობის გარკვეული სფერო გათავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან. ეს ცვლილება შეეხება საექსპორტო პროდუქციისთვის განკუთვნილი ნედლეულის გადამუშავებას. ასევე, ჩამოიწერება ხანდაზმული დავალიანებები და ზოგიერთი შემთხვევა გადავადდება. ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური დეტალურად განმარტავს, თუ რა შემთხვევებზე გავრცელდება ეს ცვლილება:**

**„ბევრი სანქცია-საურავი, უბრალოდ, ჩამოვაწერეთ. მაგალითად: 2005 წლის პირველი იანვრის შემდეგ თუ კომპანიას არ უმუშავია, ჩვენ ბაზებში გვაქვს, რომ მას აქვს დავალიანება და ის ფიზიკურად არ არსებობს. მაგალითად, კოლმეურნეობები, რომლებსაც საგადასახადო დავალიანება აქვთ. ეს, უბრალოდ, წარმოუდგენელია. ამიტომ ბაზებს გავასუფთავებთ და ომის შემდეგ, ანუ 2009 წლის 1 იანვრამდე, სანქცია-საურავებსაც. თუ საწარმოებმა ომის შემდეგ ველარ შეძლეს მუშაობა, მხოლოდ სანქცია-საურავებს ჩამოვაწერთ, რაც შესაძლებლობას მისცემთ მათ, რომ განაახლონ საქმიანობა“.**

ნოდარ ხადურის ასეთ პოზიციას მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ. „საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელის რომან გოცირიძის აზრით, საკანონმდებლო ცვლილებით შერჩევითი ამნისტია განხორციელდება. იგი ფინანსთა სამინისტროს იმ ინიციატივასაც აკრიტიკებს, რომელიც შემოსავლების სამსახურს მოქალაქეთა საბანკო ინფორმაციაზე წვდომის უფლებას აძლევს. ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი ფიქრობს, რომ მთავრობამ საბანკო ინფორმაციაზე წვდომა შეიძლება არასასურველი პიროვნების წინააღმდეგ გამოიყენოს.

რომან გოცირიძე და სხვა ეკონომისტებიც დაუშვებლად მიიჩნევენ საგადასახადო კოდექსის ძალით საქართველოს საბანკო სისტემის ნდობის შერყევას. ექსპერტების დიდი ნაწილი მთავრობას საგადასახადო რეფორმის სხვა კუთხით წარმართვას ურჩევს. ამის შესახებ რადიო „თავისუფლების“ სადისკუსიო მაგიდასთან ისაუბრა ლევან კალანდაძემ, არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივის“ ხელმძღვანელმა:

**„ეკონომიკური ისტორია და გამოცდილება ცხადყოფს, რომ მხოლოდ დაბალი გადასახადები არის სტიმული ეკონომიკური განვითარებისა, რაც თავისთავად ნიშნავს ეკონომიკურ წინსვლას, სტაბილურობას, კეთილდღეობას გრძელვადიან პერსპექტივაში. ჩვენ წარმოგვიდგენია, რომ საბიუჯეტო ხარჯზე ბიზნესისა და ეკონომიკის კეთება უნდა იყოს მთავარი, რაც თავისთავად არასწორია. რაც უფრო დაბალი და ლიბერალურია გადასახადები, მით უფრო ძლიერია ბიზნესი. ჩვენ ესეც ვერ გავითავისეთ, რომ კეთილდღეობის შემქმნელი არის ბიზნესი და არა ხელისუფლება“.**

გადასახადების შემცირების პროცესი ბოლო ორი წელია, შეჩერებულია და ეკონომისტების უმრავლესობა თანხმდება, რომ პროცესის გაგრძელება საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობას გაზრდიდა. „ახალი ეკონომიკური სკოლა — საქართველოს“ ვიცე-პრეზიდენტის გია ჯანდიერის აზრით, საჭიროა, რამდენიმე საკითხი დაუყოვნებლივ მოწესრიგდეს:

**„პირველი, რომ ჩვენ ისევ გავაგრძელოთ გადასახადების დათქმული შემცირება. ცხადია, რომ ეს იყო ერთ-ერთი მიმზიდველი ფაქტორი, როდესაც ინვესტორებმა საქართველოსკენ გამოიხედეს. მეორე, აუცილებლად გადავხედავდი საგადასახადო კანონმდებლობას და ნებისმიერ კანონმდებლობას, ხომ არ არღვევს ის კონსტიტუციას. მე ვფიქრობ, რომ საგადასახადო კოდექსი არღვევს კონსტიტუციას, რომელიც სუსტია, მაგრამ მას მაინც შეუძლია გარკვეული პოზიციების დაცვა“.**

გია ჯანდიერი კიდევ ერთ აუცილებლად გადასაწყვეტ საკითხად მიიჩნევს იმ საკანონმდებლო ცვლილებების შეჩერებას, რომელიც მოთხოვნილი არ არის ევროკავშირის მიერ. მას მიაჩნია, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ბიზნესს მაღალი აქტივობის გამოჩენა და, შესაბამისად, ეკონომიკის სწრაფი ზრდა გაუჭირდება.

ეკონომიკის გამოცოცხლებისა და ბიზნესისთვის საქმიანობის გაიოლების მიზნით, საგადასახადო კოდექსის ცვლილებების ინიციატივით გამოდის „პი-ემ-სი-ჯი“ ჯგუფი. ამ ორგანიზაციამ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის პროგრამის ეკონომიკური ალმავლობის ინიციატივის (EPI) მხარდაჭერით, განსაზღვრა საქართველოს საგადასახადო სისტემის ყველაზე პრობლემატური საკითხები. მათი უმრავლესობა საგადასახადო რეგულაციებს უკავშირდება, რომლებიც დამატებით ბარიერებს ქმნის ბიზნესის ცალკეული დარგებისთვის. პროექტის მიზნების შესახებ მისი ერთ-ერთი კონსულტანტი მაია დაიაური ამბობს:

**„გარკვეული დებულებები დღემდე რჩება ბუნდოვანი, რაც იძლევა დებულებების ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას. არის კონცეფციები, რომლებიც საერთაშორისო ტაქტიკაში გათვალისწინებულია, ხოლო ჩვენთან არა. ასევე იყო მოთხოვნა, რომ საგადასახადო კოდექსი იყოს უფრო სამართლიანი. როდესაც ადამიანს მართლა სურს საგადასახადო კოდექის დაცვა, მას რაც შეიძლება უნდა გავუადვილოთ ეს“.**

ამ და სხვა პრობლემათა ანალიზის შემდეგ „პი-ემ-სი-ჯი“ ჯგუფმა მოამზადა საგადასახადო კოდექსის ცვლილებების პროექტი, რომლის უმეტესი ნაწილი დამატებითი ღირებულების, საშემოსავლო და მოგების გადასახადების რეფორმირებას ითვალისწინებს.

**კახა მჭედლიძე,**
რადიო „თავისუფლება“

განგაშის დროა!

# სამეცნიერო დაწესებულებებს არც ერთი თეთრი არ მიუღიათ!

## გამოხმაურება წერილზე- „სამინისტროს არა აქვს მეცნიერების სწორი ხედვა, რაც საბედისწერო აღმოჩნდება ქართული მეცნიერებისათვის“

**2003 წლიდან დაიწყო მასშტაბური შეტევა ქართულ მეცნიერებაზე. ნაციონალურმა ხელისუფლებამ შეძლო გაენადგურებინა (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) მეცნიერება უნივერსიტეტში: 2005 წელს დაფინანსება მოუხსნეს უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო სექტორს და გაუქმდა ყველა სამეცნიერო ლაბორატორია, კაბინეტი, ცენტრი; ამის შემდეგ იერიში მიიტანეს მეცნიერებათა აკადემიაზე...** როგორც „წესი“, მოძებნეს ის სამეცნიერო დაწესებულებები (სახელმწიფო მუზეუმი და სამართლის ინსტიტუტი), რომლებიც დაიყოლიეს აკადემიიდან გასვლაზე; სანაცვლოდ მათ ხელმძღვანელებს (დ. ლორთქიფანიძესა და გ. ხუბუას) პრივილეგირებული პირობები შეუქმნეს და დაირღვა ერთობა აკადემიისა... საააკაშვილლომაიას გეგმა „წარმატებით“ დასრულდა: სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები ჯერ სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა, შემდეგ გადაუნაწილდა უნივერსიტეტებს... ბევრი ინსტიტუტი უბრალოდ გაუქმდა (ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, დემოგრაფიის და სხვა), ხოლო რომლებიც გადაურჩნენ ფიზიკურ განადგურებას, სულს ღაფავენ უსახსრობითა და უუფლებობით... ეს ყოველივე, ცხადია, ძალიან კარგად იცის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელობამ: 2014 წლის თებერვალში აკადემიის საერთო კრებაზე განათლებისა და ფინანსთა მინისტრები იყვნენ მიწვეულნი; ყოველივე ეს (და ბევრად მეტიც) გულახდილად მოვახსენეთ მთავრობის წევრებს მაგრამ... მაგრამ, საუბედუროდ ჩვენდა, ვითარება არ შეცვლილა...

**დღევანდელ ხელისუფლებას შევახსენებთ: როცა წინა ხელისუფლებას დავუპირისპირდით და მათი რისხვა დავიტეხეთ თავს (ლანძღვა-გინება, პოლიცია, სასამართლო, უმუშევრად დარჩენა...), ჩვენთვის თვითმიზანი კი არ იყო ხელისუფლებასთან დაპირისპირება; არა, ჩვენ მეცნიერებისა და განათლების გადარჩენა გვინდოდა; მოძრაობაც წამოვიწყეთ ასეთი: „განათლებისა და მეცნიერების გადასარჩენად“...**

ახსოვს საზოგადოებას ეს თავგამოდება...

მერე იმედით შევხვდით „ქართული ოცნების“ გამოჩენას და ერთგულად დავუდექით გვერდით; გაჩნდა იმედი მეცნიერების გადარჩენისა...

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის ორი წლის თავზე, რა შეიძლება ვთქვათ? მეცნიერებას ეშველა? სამწუხაროდ, **საუნივერსიტეტო განათლებისა და მეცნიერების სისტემა ისევ იმ რელსებზე დგას, ლომაიამ რომ შეაყენა**... მეტიც, მეცნიერების მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა... ახლახან საგანგაშო ინფორმაცია გააჟღერა პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ ივანე კიღურაძემ: **„2014 წლის ბიუჯეტში მეცნიერების განვითარების მიმართულებით 20 მილიონი ლარი განისაზღვრა... მაგრამ ხარჯვა 0%-ა. კვლევით დაწესებულებებს არც ერთი თეთრი არ მიუღიათ“**... რა ხდება, რა ჰქვია ამას? მეცნიერი ელემენტარული საარსებო სახსრების გარეშეა დატოვებული მაშინ, როცა გამუდმებით არის საუბარი პარლამენტარებისა თუ სხვა ჩინოვნიკების ხელფასების გაზრდაზე; როცა ერთი მინისტრის წლიური შემოსავალი მეტია, ვიდრე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიუჯეტი... და ამ მინისტრს არ ედარდება მისი საკურატორო მეცნიერების ბედი...

კიდევ ერთი საგანგაშო ინფორმაცია გავრცელდა ახლახან (იხ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 26 სექტემბერი, 2014 წ.):

თებერვალში აკადემიაში ჩატარებული საერთო კრების შემდეგ სამინისტრომ შექმნა სამეცნიერო საბჭო, რომელშიც საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები შეიყვანა. საბჭომ რამდენიმე თვე თავდადებით იმუშავა და სამინისტროს წარუდგინა დასკვნა „სამეცნიერო ერთეულების დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე ის რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებას აუცილებლად მიიჩნევდა სამეცნიერო სისტემის რეაბილიტაციის დასაწყებად და იმ გადარჩენილი პოტენციალის შესანარჩუნებლად, რომელიც საბჭოს კვლევამ ობიექტური მონაცემებით დაადასტურა“...

როგორც ხელისუფლებისადმი საბჭოს მიმართვიდან ირკვევა, „სამინისტრომ **გააყალბა არა მხოლოდ სამეცნიერო საბჭოს ზემომითითებული განმაზოგადებელი დასკვნა და რეკომენდაციები, არამედ ის მონაცემებიც, რომლებიც უშუალოდ ინსტიტუტების საპროექტო განცხადებისა და მათი საექსპერტო შეფასებების სახით იყო წარმოდგენილი“**... საბჭოს მიმართვაში სხვაც არაერთი საგანგაშო ინფორმაციაა...




რა ხდება? განათლების სამინისტროს მესვეურებმა **ან არ იციან, რა არის მეცნიერება და რა მნიშვნელობა აქვს მას ქვეყნისათვის (რაც დიდი უბედურებაა), ან იციან ყოველივე ეს და მიზანმიმართულად კლავენ მეცნიერებას ქვეყანაში (რაც კიდევ უფრო დიდი ბოროტებაა)**...

ან უკვე ყოფილმა სამეცნიერო საბჭომ პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართა... და დარჩა ერთი დიდი იმედი: **მთავრობის მეთაური და პარლამენტის თავკაცი სწორად შეაფასებენ შექმნილ ვითარებას; შეწყდება მიზანმიმართული ბრძოლა მეცნიერების წინააღმდეგ და გადარჩება ქართული მეცნიერება...**

დიახ, გვაქვს ეს იმედი, თუ, რა თქმა უნდა, სამინისტროს დღევანდელი ხელმძღვანელობა ზემდგომთა დავალებებს არ ასრულებენ...

„ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოვიდა. რომ მომხდარიყო პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება იმისა, რაც წინა ხელისუფლებამ ჩაიდინა განათლებისა და მეცნიერების მიმართ, დღევანდელი ჩინოვნიკები ველარ გაბედავდნენ ყოველივე იმას, რის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ...

**გიორგი გოგოლაშვილი,**
არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

**წინადადება**

**აშშ-ის პრეზიდენტმა ობამამ უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოსთან შეხვედრისას, განაცხადა: „უნდა გამოინახოს საშუალება, რომ უკრაინამ და რუსეთმა მოლაპარაკება შეძლონ“! — დიახ, ეს გზავნილი გაკეთდა ყირიმის „რეფერენდუმის“ და რუსეთის მიერ მისი ანექსიის 6 თვის თავზე, პლუს, აღმოსავლეთ უკრაინაში მოქმედი სამშვიდობო პაუზის („პერემირიე“) ფონზე, სადაც უკრაინის ცენტრალურმა ხელისუფლებამ სამხედრო მარცხი განიცადა რუსეთის მხარდაჭერილ სეპარატისტებთან (განადგურდა უკრაინის სამხედრო ტექნიკის 60% და ათასობით სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, ან ტყვედ ჩავარდა!) და მზაობა გამოთქვა, რომ დონეცკ-ლუგანსკის ოლქებისათვის განსაკუთრებული სტატუსი მიეცა!..**

ვისაც ობიექტური (ადეკვატური) ანალიზის უნარი აქვს, მას არ გაუჭირდება შესაბამისი დასკვნების გამოტანა, გავითვალისწინოთ, რომ ბარაკ ობამას ეს რეპლიკა ნახევარწლიანი პროცესის შემაჯამებელი დასკვნა-დიაგნოზია! აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებამ შესაბამისი ვარიანტები უნდა გათვალოს, რათა მომზადებული შეხვდეს მოვლენების ნებისმიერ განვითარებას, რაც ჩვენი ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არ იგრძნობა და, — მხოლოდ სტრატეგიული პარტნიორების იმედად ყოფნამ კი, თუ რა მდგომარეობაში ჩააგდო უკრაინის ახალი ხელისუფლება და მთლიანად უკრაინა, მე მგონი კარგად ჩანს!.. იმის შესახებ ტრაბახი კი, რაც ამ დღეებში ზურაბ აბაშიძემ გაახმოვანა, თითქოს, „ფილიგრანულად ისე მოვახერხეთ“ ევროკავშირთან ასოცირებული ხელშეკრულების გაფორმება და ნატოს უელსის სამიტზე ახალი პრეფერენციების მიღება, რომ რუსეთი „არ გაღიზიანდაო“, გახლავთ არასერიოზული მსჯელობა და უადგილო თვითკმაყოფილების გამოხატულება! თავს ვიტყუებთ?! განა, ცხადია არ არის, რომ რუსეთი „თვალს გვადევნებს, თუ რას მოვიმოქმედებთ და არაფერი გამოეპარება, უბრალოდ, ჯერჯერობით საქართველოს მიმართულებით არ აქტიურობს, სხვა პრობლემებით არის დაკავებული და როგორც კი „მოიცლის“, მაშინვე უნდა ველოდოთ... რაას?! აი, ესაა ხელისუფლების საფიქრალი და ქართულმა საზოგადოებამაც უნდა იმსჯელოს, თუ რას უნდა ველოდოთ არსებულ გამწვავებულ გეოპოლიტიკურ რეალობაში, რა სტრატეგია და ტაქტიკა უნდა ავირჩიოთ ქვეყნის გადასარჩენად, სავარაუდო მოსალოდნელი აგრესიის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის გასამთლიანებლად, ევროპული ვექტორის შესანარჩუნებლად?! შესაძლებელია კი, რომ ეს ყველაფერი ერთობლიობაში მოვახერხოთ?! არ გამორიცხავენ ისინი ერთურთს?! და ა.შ... თორემ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ საქართველოს ხელისუფლება „მოლოდინის რეჟიმშია“, რაც შეიძლება ძვირად დაუჯდეს ქვეყანას!..

უკრაინის ხელისუფლება, რომლის სახელმწიფოს ერთი ნაწილი ანექსირებულია (ყირიმი), ხოლო აღმოსავლეთ უკრაინაში სისხლისმღვრელი კონფლიქტი — ომი დროებით ჩაცხრა, სადაც აშკარად გამოჩნდა რუსეთის სამხედრო მონაწილეობა, — მაინც არ წყვეტს დიპლომატიურ კავშირს რუსეთთან, რათა უფრო ფართომასშტაბიანი ომი არ მიიღოს მასთან, რაც შესაძლებელია, რომ რუსეთის მიერ კიევის დაკავებით და მთლიანად უკრაინის ოკუპაციით დასრულდეს!.. მინსკის მოლაპარაკებებზე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, უკრაინის ხელისუფლებას წარმოადგენს მისი ყოფილი პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა, რომლის მონაწილეობამ ამ პროცესში გარკვეულწილად გაანელა რუსების აგრესიული ტონი და მათთან დიალოგის მსვლელობისას, კუჩმას ფაქტორი დადებითად მოქმედებს საერთო ატმოსფეროზე. ახალს არაფერს ვიტყვი, უბრალოდ, ასეთი სახის სამხედრო—პოლიტიკური დაპირისპირების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნულ ფაქტორს, თუ ვინ მონაწილეობს დიალოგში, რაც მეტწილად განსაზღვრავს კომპრომისული, თუნდაც, დროებითი მშვიდობიანი მდგომრეობის მიღწევას.

საქართველოსთვის რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების არ ქონის პირობებში, მიზანშეწონილია, რომ არაფორმალურ დონეზე შედგეს გარკვეული კონტაქტი, რომელშიც ორივე მხრიდან ჩაერთვებიან მაღალი ნდობის მქონე პირები! ეს იმისთვის გახლავთ აუცილებელი, რომ ფორსმაჟორული სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში, მხარეებს შორის სწრაფად მოხდეს დაკავშირება და მდგომარეობის განმუხტვა—განეიტრალება! უკანასკნელ 2 წელიწადში, რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება (მიუხედავად, „მავთულხლართების პოლიტიკისა“), საქართველოს ახალი ხელისუფლების მიმართ გაწონასწორებულია, მაგრამ, ორმხრივი გარკვეული უნდობლობის ნიშნები მაინც გამოკვეთილია და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, მათ შორის, პირდაპირი კონტაქტის არ არსებობაა. აბაშიძე-კარასინის ფორმატი და მათი შეხვედრების თემატიკა და სიხშირე (3—4 თვეში ერთხელ) ვერ უპასუხებს იმ მოთხოვნებს, რაც უკრაინის კრიზისის ფონზე და მსოფლიოში არსებულ დაძაბულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში აუცილებელია!..

# „რუსეთთან არაფორმალური დიალოგი ბიძინა ივანიშვილმა უნდა წარმართოს!“



## ივანიშვილი - ივანოვის ფორმატი და საქართველო - რუსეთის დიალოგი

ამიტომ მიმაჩნია, რომ უნდა შეიქმნას ასეთი საკონტაქტო ჯგუფი, რომლის სათავეშიც სწორედ ასეთი ღირსებებით შემკული პიროვნებები უნდა იქნას წარდგენილი. ვფიქრობ, ჩვენი სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოსგან უნდა მოდიოდეს ასეთი ინიციატივა, რომელიც რუსეთთან არაფორმალური დიალოგის დაწყების საშუალებას მოგვცემს. ასეთი ორმხრივი დიალოგი, უწინარესად, პრევენციული ხასიათის იქნება და თავიდან აგვარიდებს ყოველგვარ მოსალოდნელ გაუგებრობას!.. მიმაჩნია, რომ რუსეთთან დიალოგში საქართველოს მხრიდან მთავარ მომლაპარაკებლად ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი უნდა იყოს (ვიმეორებ, ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების არ ქონის პირობებში), რომლის მიმართ ნდობის მაღალი რეიტინგი ქართულ საზოგადოებაში ეჭვს არ იწვევს, ხოლო, რუსეთის მხრიდან მათი გადასაწყვეტია, დარწმუნებული ვარ, რომ ისინიც შესაბამის კანდიდატურას შეარჩევენ (რუსეთის მხრიდან, ვფიქრობ, ორივე ქვეყნისათვის მისაღები პიროვნება იქნება, იგორ ივანოვი, რუსეთის ფედერაციის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც ბრწყინვალედ იცნობს რუსულ-ქართული ურთიერთობათა პრობლემატიკას)!..

დიახ, ეს საშური საქმეა და ბევრი „მსჯელობა“ არ ჭირდება, იმდენად სწრაფად ვითარდება ჩვენს გარშემო არასასურველი პოლიტიკური მოვლენები!.. შემთხვევით არ მოვიყვანე უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის კუჩმას მაგალითი, რომელიც დღე-ღამეს ასწორებს, რათა როგორმე დაეხმაროს თავის სამშობლოს ასეთი ყოფილი ან გადამდგარი სახელმწიფო მოღვაწე ბევრია, რომლებიც არაფორმალური სტატუსით განაგრძნობდნენ ქვეყნის სამსახურს იქ, სადაც ყველაზე მეტად უჭირდა სამშობლოს!.. ასე რომ, ყველა „გეგმა და პროექტი მოიცდის“, ყველაფერი გვერდზე უნდა გადაიდოს, რადგანაც ქვეყნისთვის უმთავრესია უსაფრთხოების საკითხების პრევენცია, რაც მხოლოდ მაღალი ავტორიტეტის სახელმწიფო მოღვაწეების ხვედრია!..

საქართველოს მთავარი მიზანია, არ დავუშვათ ჩვენი მხარეების „ყირიმიზაცია“ და დღეს, ოკუპანტი რუსეთი, ხვალ პარტნიორად „ვაქციოთ“!.. ბიძინა ივანიშვილის ჩართვა რუსეთთან არაფორმალურ დიალოგში, ერთგვარი პასუხი იქნება აბსოლუტურად უსაფუძვლო, ცილისმწამებლური ბრალდებებისა ნაცმოძრაობის მხრიდან, თითქოს ყოფილი პრემიერი „რუსი ოლიგარქია“ და რუსეთის „დავალებით მოქმედებს“ და სწორედ ბიძინა ივანიშვილის თაოსნობით დაიწყება ის პოლიტიკური პროცესი, რომელიც რუსეთთან ყოვლისმომცველი შეთანხმებით დასრულდება (დასავლეთის ჩართულობით!), რაც ქვეყნის გამთლიანების საწინდარი გახდება!.. სტატიის დასაწყისში, აშშ პრეზიდენტის ობამას მიერ მოყვანილ ციტატაში თუ ერთ სიტყვას შევცვლით, მაშინ იგი ასე გახმოვანდება: „უნდა გამოინახოს საშუალება, რომ საქართველომ და რუსეთმა მოლაპარაკება შეძლონ“! — დიახ, ეს ძალიან პრაგმატულად ჟღერს და ჩათვალეთ, რომ პრეზიდენტი ობამა ამას დაადასტურებს. მით უმეტეს, რომ ასეთი სურვილი მრავალჯერ გამოთქვეს ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორებმა, ამერიკასა და ევროპაში!..

მოკლედ, სანამ ოფიციალური სახელმწიფოთაშორისო კავშირები გაწყვეტილია, რუსეთთან გაყინული ურთიერთობები მხოლოდ არაფორმალური დიალოგის მეშვეობით „გალღვება“, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ „ყინული დაიძრას“, ხოლო ამ პროცესის ყინულმჭრელი სწორედ ბიძინა ივანიშვილი უნდა გახდეს!!!...



**ჯუმბერ კირვალიძე,**

**პოლიტოლოგი**

**დრეს-კოდი**



# ნუნუკა თამაზაშვილის კოქტეილის კაბის შუქ-ჩრდილები

**დავიწყოთ იმით, რომ ბარაკ და მიშელ ობამების მიღების საღამოზე კრიტიკის ქარცეცხლში მოხვდა როგორც მიშელის, ასევე ღარიბაშვილის მეუღლის კაბები. პეპლის სართავით გამშვენებული შავ სამოსში გამოწყობილი ქალბატონები, იმედია, ამას დიდ ყურადღებას არც მიაქცევდნენ, მაგრამ სოციალური ქსელი მოსაწყენი იქნებოდა, ასეთი თემები რომ არა.**

ნუნუკა თამაზაშვილის კაბის გამო ატეხილ აჟიოტაჟს კახი კალაძის მეუღლე, დიზაინერი **ანუკი არეშიძე** გამოეხმაურა: **„რამდენიმე დღეა, თვალყურს ვადევნებ პრემიერის და მისი მეუღლის ფოტოზე გაკეთებულ კომენტარებს...**

**ქალბატონ ნუნუკას აცვია ძალიან სწორად, ქალბატონის დრეს-კოდის გათვალისწინებით. ოფიციალურ მიღებაზე უნდა ეცვას კოლგოტი (ხორცისფერი). კაბა უნდა იყოს აუცილებლად მუხლს ქვემოთ. რაც შეეხება სარჩულს, ესაა თვითონ ამ კაბის და იმ დიზაინერის გადაწყვეტილება, რომელმაც ეს ულამაზესი კაბა შექმნა, რათა მაანის სილუეტს გასმოდა უფრო კარგად ხაზი!“**

უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ლედის ფრანგი დიზაინერი — გალლიანო აცმევს, რომელიც თავის ქვეყანაში ძალიან ცნობილია. ის იყო სტაფი ფრანგი პირველი ლედებისა...

ანუკი არეშიძეს განსაკუთრებით იმ ხალხის კრიტიკა აკვირვებს, რომლებიც არასოდეს საუბრობდნენ სანდრა რულოვსის ჩაცმის სტილზე (როგორც ცნობილია, სანდრა დრეს-კოდს არ იცვამდა. თუმცა... არღვევდა ისე და ისეთნაირად, რომ ნამდვილად სჯობდა, ეტიკეტს დამორჩილებოდა).

მოდის მცოდნე, ბლოგერი და ტელეწამყვანი **მერსი სულხანიშვილიც** დადებითად აფასებს პრემიერ-მინისტრის მეუღლის გემოვნებას: **„მოვლენებს არასწორად აფასებენ,** — ამბობს ის, — **მას აცვია კოქტეილის კაბა, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს საქმიან კაბას, რომლის ტარებაც შესაძლებელია როგორც დღისით, ასევე საღამოს და საქმიანი შეხვედრების დროს. ამ ქალბატონს დრეს-კოდი არ დაურღვევია“.**

მერსი სულხანიშვილი კაბის არაეფექტიანად წარმოჩენას ცუდად გადაღებულ ფოტოს უკავშირებს, რომელმაც სილუეტი არასწორად აღნუსხა.

დრეს-კოდი დაარღვია მიშელ ობამამ, რომელსაც უმკლავო კაბა აცვია, არადა ის გემოვნებიანი ქალბატონების ათეულში შედის. **„ბოლოს არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ აღნიშნულ ფოტოზე ქალბატონ ნუნუკა თამაზაშვილის კაბა პირადად ჩემთვის გაცილებით უფრო მინიმალისტური და ეფექტურია, ვიდრე აშშ-ის პირველი ლედისა. ქართველების უდიდესი პრობლემა ის არის, რომ არც ჯანსაღი კრიტიკა ვიცით და არც ჩვენიანის დაფასება. სანამ სხვის იმიჯს გავაკრიტიკებთ, სჯობს საკუთარ გარდერობში შევიხედოთ. თან გავითვალისწინოთ, რომ გემოვნებას ფულით ვერ ვიყიდით“,** — აღნიშნავს ბლოგერი.

ნათქვამია, გემოვნებაზე არ დავობენო, თუმცა, მგონი პრემიერის მეუღლის შემთხვევა ბოროტ ენას, შურსა და ბოღმას უფრო ავლენს, ვიდრე გემოვნებაზე დავას.

**ნია ფიფია**



**„ეს იყო მოდელირებული, სპეცეფექტებზე დაფუძნებული გადაცემა, რომელიც საზოგადოების „კრიმინალის დაბრუნებით“ დაშინებას ისახავს მიზნად“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე, რომლის განცხადებით, ასევე თვალსაჩინოა, რომ პარალელურად, ქვეყანაში მომხდარი დანაშაულის წვრილმანი და მძიმე მაგალითებით იწყება საინფორმაციო გამოშვებები და ქვეყნისთვის სტრატეგიული საკითხები და სამუშაო პროცესი მხოლოდ გადაცემების მეორე ნაწილში შუქდება.**

**for.ge არჩილ თალაკვაძეს ესაუბრა.**

**— რას გულისხმობდით, როდესაც თქვით, რომ ეკა კვესიტაძის გადაცემაში აღწერილი სიტუაცია სინამდვილეში მოდელირებული არეულობაა?**

— ჟურნალისტების დაინტერესება იმ საკითხებით, რომელიც ტრადიციულად, ჩვენს ქვეყანაში დახურული და ხელმიუწვდომელი იყო, ლეგიტიმურია და ვფიქრობ, დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია. მეორე მხრივ, ხელისუფლება დგას ამოცანის წინაშე, პასუხები გასცეს შეკითხვებს, თუნდაც ტენდენციურს, აწარმოოს სწორი კომუნიკაცია საზოგადოებასთან და შეინარჩუნოს ანგარიშვალდებულება ამომრჩეველთან. სწორედ ამის გამო, თავი ვალდებულად ჩავთვალე, გამეცა პასუხები იმ ბრალდებებზე რაც ქ-ნ ეკა კვესიტაძის გადაცემაში გაისმა. კერძოდ, მის გადაცემაში წამყვანის ხმაზე დადებული იყო ძველი ვიდეოჩანაწერები, რომელიც ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების პერიოდში იყო ატვირთული youtube-ზე და კრიმინალურ გარჩევებს აღწერს — ეს არის ერთგვარი სპეცეფექტი, რომ ტელემაყურებელს შეექმნას განცდა, თითქოს ასეთი გარჩევები ახლა ხდება.

ასევე მცდარია ინფორმაცია თითქოს „რეზბალნიცა“ არის კონფერენციების ადგილი — „რეზბალნიცა“ ჩვენი მმართველობის პირობებში გაუქმდა თავისი ავბედითი შინაარსითა და ტრადიციებით და მის ნაცვლად, თანამედროვე, სამოქალაქო სტანდარტით ლიცენზირებული საავადმყოფო გაიხსნა, სადაც პაციენტის დაყოვნება მხოლოდ 5-6 დღე ხდება. დღეს თუ იქ რაიმე კონფერენცია ტარდება, ეს არის სამეცნიერო და კლინიკური კონფერენციები, რომელსაც სამედიცინო პერსონალი ატარებს კვირაში სამჯერ.

**— რას იტყვით იმ სატელეფონო ჩანაწერებზე, რომელიც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ არის განხორციელებული?**

— არავითარი ექსკლუზივი და სენსაცია ამაში არ არის. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, როდესაც ციხეებში ძალადობა დასრულდა და პატიმრებს აღუდგათ კანონით გარანტირებული უფლებები, მათ შორის ციხეებში სტაციონარული ტელეფონებით სარგებლობის უფლება, ასეთი ზარები მართლაც იყო და ამისათვის არაერთი ადამიანი მიეცა პასუხისგებაში, იყო სასამართლო პროცესები და მკაცრი სასჯელები. რატომღაც ქალბატონ ეკას ამის გაშუქება გადაცემაში „გამორჩა“.

ჩანაწერები კი სინამდვილეში იმ ადამიანების ადვოკატებმა მიაწოდეს, რომლებიც ჩვენმა ხელისუფლებამ ამ ზარებისთვის პასუხისგებაში მისცა. სამწუხაროდ, არც აღნიშნული ადვოკატები მოუწვევია საკუთარ გადაცემაში, რომ სიმართლე ეთქვათ საზოგადოებისთვის. მოკლედ, რომ შევაჯამო, ეკა კვესიტაძე საინტერესო ჟურნალისტია — ეს გადაცემა ნამდვილად მოდელირებული მომეჩვენა და მასში ძალიან ბევრი მცდარი ინფორმაცია იყო.

**— ნუთუ ჟურნალისტს მართლა არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ პასუხისმგებლობა დადგა იმ პირების მიმართ, ვინც ტელეფონით საუბრობდა? გადაცემაში ეს ჩანაწერები ექსკლუზიურად არის შეფასებული...**

— სინამდვილეში ამ ჩანაწერების გამო, ხალხი მიეცა პასუხისგებაში, ხოლო ვიდეოჩანაწერები ბევრად ძველია და ახლანდელ სიტუაციასთან არაფერი აქვს საერთო. ქალბატონმა ეკამ ან არ იცოდა, ან იცოდა და ამის თქმა გადაცემაში არანაირად ხელს არ აძლევდა. ორივე შემთხვევაში, გადაცემა გამოდის არაობიექტური.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს იყო შეგნებული დეზინფორმაცია, რათა ერთგვარი დისონანსი შეეტანათ სასჯელაღსრულების საკითხზე მსჯელობაში?**

— ეს იყო მოდელირებული, სპეცეფექტებზე დაფუძნებული გადაცემა, რომელიც საზოგადოების „კრიმინალის დაბრუნებით“ დაშინებას ისახავს მიზნად. ასევე თვალსაჩინოა, რომ პარალელურად ქვეყანაში მომხდარი დანაშაულის წვრილმანი და მძიმე მაგალითებით იწყება საინფორმაციო გამოშვებები და ქვეყნისთვის სტრატეგიული საკითხები და სამუშაო პროცესი მხოლოდ გადაცემების მეორე ნაწილში შუქდება.

არ უნდა დაგვავიწდეს, რომ წინა ხელისუფლების დისკრედიტაციის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული რეპრესიები და მასობრივი ძალადობა იყო. დღეს ვხედავთ მცდელობას, დააჯერონ საზოგადოება, რომ ციხეების მართვა შეუძლებელია ძალადობის გარეშე — „აი, ხომ ხედავთ, ამათ მკაცრი ხელი მოუხდებათ. ისე ციხეების აღარ ეშინიათ!“ — ეს არის გადაცემის ფარული გზავნილი, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების პრინციპებს, საქართველოს ინტერესებს და მომავალს, ასევე ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესსაც. ამას სამოქალაქო საზოგადოებამ მკაცრი პასუხი უნდა გასცეს.

# „ვიღაცის მიზანია, საზოგადოებას დაავიწყოს რა ტრაგედიაც დატრიალდა ციხეებში“



გასაგებია, რომ ვიღაცას აქვს მიზანი, საკუთარი ბრალი შეიმსუბუქოს და საზოგადოებას „დაავიწყოს“ რა ტრაგედია დატრიალდა ციხეებში, მაგრამ ალბათ, ისიც უნდა ესმოდეთ, რომ სატელევიზიო გადაცემებში შემაშფოთებელი სცენარების გათამაშებით, ეს პრობლემა არათუ დავიწყებას მიეცემა, არამედ პირიქით - უფრო გაღრმავდება, რადგან როცა ძალადობის მსხვერპლი ადამიანები და მათი ოჯახები ამ გადაცემებს უყურებენ, ხდება მათი რეტრავმატიზაცია, მათ მუდმივად ახსენებენ, რომ ერთ დროს ციხეში სცემეს, გააუპატიურეს, ღირსება შეულახეს ან დაააავადეს.

**— ადვოკატი ამბობს, რომ ტარიელ ფოცხვერია ვერ ლაპარაკობს. იმ დროს, რა დროითაც ჟურნალისტი ათარიღებს ჩანაწერებს, როგორი იყო სინამდვილეში ფოცხვერიას ჯანმრთელობის მდგომარეობა?**

— ფოცხვერია არის პაციენტი, რომელიც პატიმრობაშია. სახელმწიფო მას აწვდის საჭირო სამედიცინო მომსახურებას ისევე, როგორც სხვა ათასობით პატიმარს. ფაქტია, რომ იგი არც „რეზბალნიცაზეა“ და არც თავისუფლებაზე — შესაბამისად კრიმინალის წახალისებაზე ჩვენსკენ ხელის გამოშვერა ოდნავ სასაცილოა. მე არ მაქვს უფლება, პაციენტის შესახებ ინფორმაცია გავასაჯაროო, თუმცა, გეტყვით, რომ მას ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები ჰქონდა იმ პერიოდში.

**— ბატონო არჩილ, აქცენტი გაკეთებული იყო ე.წ. „რეზბალნიცაზე“. ხშირად იმიტომ ხომ არ ახსენებდნენ გადაცემაში, რომ საზოგადოებას ასოციაციები გაუჩნდეს შევარდნაძის პერიოდის ციხის საავადმყოფოსთან, რომელიც იმ წლებში მართლაც „კანონიერი ქურდების“ თავშეყრის ადგილი იყო?**

— ერთ-ერთი პირველი, რაც სოზარ სუბარმა თავისი მინისტრობის დროს გააკეთა, იყო სწორედ ე.წ. „რეზბალნიცის“ გაუქმება. ფაქტობრივად, „რეზბალნიცა“ არა მხოლოდ შევარდნაძის, არამედ შემდგომი ადმინისტრაციის პირობებშიც რჩებოდა ადგილად, სადაც პრივილეგირებული პატიმრები თვეობით და წლობითაც კი ცხოვრობდნენ და „მკურნალობდნენ“, მაშინ, როდესაც დღეს მსოფლიოში არც ერთი ნამდვილი საავადმყოფო პაციენტს 12 დღეზე მეტ ხანს არ აყოვნებს.

წინა 9 წელზე რომ არ ვისაუბრო, გეტყვით, რომ დღეს „რეზბალნიცა“ აღარ არსებობს და ამ სიტყვის წარმოთქმაც კი ეკრძალებათ ჩემს თანამშრომლებს. მის ნაცვლად ჩვენ გავხსენით თანამედროვე სამედიცინო ცენტრი, სადაც პაციენტები მხოლოდ 5-6 დღე ჩერდებიან სამკურნალოდ და რომელშიც საუკეთესო ქირურგები, ექიმები და ექთნები მუშაობენ. ისინი თავდადებით ემსახურებიან საქმეს და 2 თვეში 230-ზე მეტი ოპერაცია გააკეთეს ისე, რომ არც ერთი პაციენტი არ გარდაცვლილა გართულებებით.

**— რამდენი იხარჯებოდა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს ერთ პატიმარზე და რამდენი იხარჯება ახლა? რა გაუმჯობესდა და რა გაუარესდა რეალურად?**

— შეიძლება ითქვას, რომ სასჯელაღსრულების სისტემის ბიუჯეტის ზრდამ და პოლიტიკურმა ნებამ შესაძლებელი გახადა ახალი რეფორმების განხორციელება და სამი ძველი დაწესებულების დახურვა, რომლებიც თავის დროზე ცხენების თავლად და საწყობებად იყო აშენებული და რომლებიც ტუბერკულოზთან, სიკვდილიანობასთან, ადამიანთა დამცირებასა და კოშმარებთან ასოცირდებოდა. გაუმჯობესდა კვება, ჯანდაცვა, საცხოვრებელი პირობები. მაგალითად ჯანდაცვის ბიუჯეტი 100 პროცენტით არის გაზრდილი.

**— სიკვდილიანობის მაჩვენებლების კუთხით რა ვითარებაა? რა კეთდება იმისათვის, რომ პატიმართა გარდაცვალების შემთხვევები შემცირდეს?**

— 2010 წელს 144 პატიმარი, 2011 წელს - 132, ხოლო 2012 წლის პირველ ნახევარში 58 პატიმარი გარდაიცვალა. 2013 წელს გარდაცვალების შემთხვევები 25-მდე, ხოლო 2014 წელს 18-მდე შემცირდა. დასკვნები თავად შეგიძლიათ გააკეთოთ.

**— რამ გამოიწვია ეს შემცირება?**

— ძალიან მოკლედ რომ გითხრათ, მთავარი იყო ტუბერკულოზის წინააღმდეგ ეფექტიანი ღონისძიებების გატარება, პატიმართა გადაყვანა კლინიკებში და მკურნალობა, მედიკამენტებით მომარაგების გაუმჯობესება, კვების პირობების გაუმჯობესება, C ჰეპატიტის პროგრამის დაწყება, ძალადობის აღკვეთა ადმინისტრაციის მხრიდან და სხვა.

**— საზოგადოებას ახსოვს პატიმარ ლევან კორტავას შემთხვევა, როდესაც ის პატიმართა შორის ძალადობის მსხვერპლი გახდა. დასრულდა თუ არა გამოძიება ამ საქმეზე და დაისაჯნენ თუ არა დამნაშავეები?**

— ლევან კორტავას შემთხვევა არის სამწუხარო და ტრაგიკული მაგალითი, როდესაც დაწესებულების ადმინისტრაციამ ვერ მოახერხა პატიმრებს შორის ძალადობის აღკვეთა. ასევე არის სიგნალი და ლუსტრაცია იმ დაწესებულებების, სადაც ერთ, ბარაკული ტიპის შენობაში ათასობით პატიმარი ცხოვრობდა ერთ დიდ დარბაზში. ასეთ პირობებში ძალადობის აღკვეთაზე საუბარი შეუძლებელია.

რა თქმა უნდა, ლევანის დედას ტკივილს ვეღარ შეუმსუბუქებს რეფორმები, რომელიც გაკეთდა და რომელიც მომავალი წლების განმავლობაში უნდა განხორციელდეს საქართველოს პენიტენციურ სისტემაში, მაგრამ ამ საქმეზე ჩატარდა გამოძიება და პასუხისგებაში მიეცნენ ადამიანები, რომლებმაც ის ცემით მოკლეს.

**თამთა ქარჩავა**

**ალიანჩალიანი**

# კიწმარიშვილის ოჯახი დაზარალებულად ცნობას ითხოვს

**ეროსი კიწმარიშვილის ძმამ ზურაბ კიწმარიშვილმა პროკურატურას მისი ძმის საქმეში დაზარალებულად ცნობის მოთხოვნით მიმართა. როგორც ზურაბ კიწმარიშვილმა განაცხადა, დაზარალებულად ცნობის შემთხვევაში საშუალება მიეცემა, სრულად გაეცნოს საქმის დეტალებსა და გამოძიების მიერ მოპოვებულ ინფორმაციას.**




**„ეს გადაწყვეტილება გამოწვეულია იმით, რომ კანონის ახალი დებულებით, საშუალება მოგვეცეს გავეცნოთ საქმის დეტალებს და გამოძიების მიერ მოპოვებულ ინფორმაციას. გავაკეთეთ ეს მიმართვა და სამ დღეში იქნება პასუხი. ამ პერიოდში მოხდება ლოგიკურად ჩემი დაზარალებულად ცნობა და მომეცემა საშუალება, რომ მოვითხოვო გამოძიების დეტალები. დაზარალებულად ცნობის შემდეგ, სავარაუდოდ მიმდინარე კვირის ბოლოს, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა პროკურატურაში შედგება“, — განაცხადა ზურაბ კიწმარიშვილმა.**

**ინტერპრესი**

№198-199. სამშაბათი, 30 სექტემბერი, 2014 წელი.

# გაფლანგული მილიონები და გადაუჭრელი პრობლემები

## „აგვისტოს 5 დღე და სოზარ სუბარის გადაწყვეტილება“

**სოზარ სუბარი ერთადერთი მინისტრია, რომლის მიმართ დევნილებს საკმაოდ მაღალი ნდობა აქვთ, თუ არ ჩავთლით იმ შვიდ დევნილს და ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივ ლიდერს დარეჯან ცხვიტარიას, რომლებიც რამდენიმე დღეა, ფოთის მერიის შენობის ფოიეში შიმშილობენ. სუბარს მისმა წინამორბედებმა მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვეს, თუმცა ამბობს, რომ არსებული პრობლემების მოგვარებაზე სამინისტრო 24-საათიან რეჟიმში მუშაობს.**

**რატომ არ იბარებს ვაზიანის დასახლებაში დევნილებისთვის აშენებულ კორპუსებს და სად გაქრა 107-მილიონიანი პროექტი კრწანისის დასახლებაში? — ამ საკითხებთაან დაკავშირებით for.ge დევნილთა და განსახლების მინისტრს სოზარ სუბარს ესაუბრა.**

**— ბატონო სოზარ, რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდით, როდესაც დევნილთა სამინისტრო ჩაიბარეთ?**

— პრობლემა ბევრია, შესაძლებლობები კი — საკმაოდ მწირი. 21 წელი გავიდა დევნილობის დაწყებიდან და დევნილთა ორი მესამედი ჯერ კიდევ საკუთარი საცხოვრებლის გარეშეა, მხოლოდ ერთი მესამედია დაკმაყოფილებული. თანაც, ამ ადამიანთა ნაწილი დღემდე გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. რამდენიმე დღის წინათ ვიყავი ზუგდიდში ე.წ. „კარვების დასახლებაში“, სადაც რამდენიმე კვადრატულ მეტრიან ოთახებში 2 ათეული წელია, ცხოვრობს რამდენიმე ათეული ოჯახი, თანაც ამ ოთახების ნახევარი სრულიად უფანჯროა, იქ დღისითა და ღამით ერთნაირად ბნელა.

ანალოგიური ვითარებაა გორში, სასტუმრო „ქართლში“, სადაც 24 წელია, ცხოვრობენ ცხინვალიდან დევნილი ჩვენი თანამოქალაქეები. ადამიანს, რომელიც ასეთ პირობებში ცხოვრებს, შეზღუდული აქვს არა მხოლოდ ღირსეული საცხოვრისის, არამედ მრავალი სხვა უფლებაც, მაგალითად — ჯანმრთელობის უფლება, განათლების უფლება და სხვა. 21 წელი რომ ადამიანი უფანჯრო ოთახში იცხოვრებს, წარმოგიდგენიათ როგორია მისი მდგომარეობა? იქ განვითარებაზე ფიქრი ძალიან ძნელია, უბრალოდ, ფიქრობ თავის გადარჩენაზე და ელოდები უკეთეს დროს. ეს არის უმთავრესი პრობლემა.

**— რატომ არ მოგვარდა ეს პრობლემა წლების განმავლობაში, როცა საამისოდ გამოყოფილი იყო სოლიდური თანხები? ბატონო სოზარ, რას აკეთებთ იმისათვის, რომ დევნილმა შეძლოს ადამიანურ პირობებში ცხოვრება?**

— საქართველომ მიიღო საკმარისზე ბევრად მეტი საერთაშორისო დახმარება იმისთვის, რომ დღეს ჩვენ ამ თემაზე აღარ ვლაპარაკობდეთ და სხვა პრობლემების გადაჭრაზე ვიყოთ ორიენტირებული. მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შემოსული დახმარების მეოთხედი ეყოფოდა ამის დამთავრებას. თუმცა, ამის გაკეთება საერთაშორისო დახმარების გარეშეც შეიძლებოდა, თუნდაც, იმ უაზრო მშენებლობების ხარჯზე, რომლებშიც ნაციონალური მოძრაობა მილიონებსა და მილიარდებს ფლანგავდა — თუნდაც იგივე პრეზიდენტის სასახლე, პარლამენტის შენობა ქუთაისში და არაერთი სხვა არასაჭირო ხარჯი. მაგრამ, ასე არ მოხდა. სამწუხაროდ, უკვე საერთაშორისო საზოგადოებამაც, მეგობარმა ქვეყნებმა დაამთავრეს ამ მიმართულებით მოღვაწეობა. მათი პოზიცია გასაგებია, მსოფლიოში უამრავი ცხელი წერტილია. აგერ, უკრაინაში მილიონზე მეტი დევნილი გაჩნდა, სირია, ერაყი, ლიბია - ეს ყველაფერი მოითხოვს საერთაშორისო ყურადღებას. გასაგებია, რომ მთელი მსოფლიო მუდმივად საქართველოს პრობლემებზე ვერ იქნება კონცენტრირებული.

დღეს, უკვე, მიუხედავად პოლიტიკური ნების არსებობისა, ამ პრობლემის სწრაფი მოგვარება ბიუჯეტსაც უჭირს, რადგან ჩვენმა ხელისუფლებამ აიღო ბევრად მეტი სოციალური ვალდებულება, ვიდრე ეს წინა ხელისუფლების დროს იყო. საყოველთაო ჯანდაცვა, გაზრდილი პენსიები და სოციალური დახმარებები, მათ შორის დევნილების დახმარებაც, გაზრდილი ხელფასები სკოლებში, საბავშვო ბაღების დაფინანსება და ა.შ. — ეს ის თემებია, რაც ძალიან დიდ თანხებს მოითხოვს, მაგრამ ამის გაკეთება აუცილებელი იყო. მიუხედავად ამისა, ჩვენი მოსვლის შემდეგ გაორმაგდა დევნილთა სამინისტროს ბიუჯეტი და მომავალ წელს კიდევ მოიმატებს. ცხადია, არ შეგვიწყვეტია დონორებთან მუშაობაც და იმედები ამ მიმართულებითაც გვაქვს.

**— რა არის უმთავრესი ამოცანები და პერსპექტივები, რომელიც უნდა განხორციელდეს უახლოეს პერიოდში?**

— სამი ძირითადი საკითხი უნდა გამოვყოთ, **ერთი** — მშენებლობების გაგრძელება და მაქსიმალურად ბევრი ადამიანის საბინაო პრობლემის გადაწყვეტა, რაც შეიძლება მცირე ხანში. **მეორე** — დახმარება შემოსავლების ზრდაში, საარსებო წყაროების მოძიებაში. არ შეიძლება, ადამიანები მუდმივად 45-ლარიანი დახმარების იმედად იყვნენ, ოჯახები ფეხზე უნდა დადგნენ და ეკონომიურად გაძლიერდნენ, რათა შეეძლოთ განვითარებაზე ფიქრი და ზრუნვა. ჩვენ ამაზე ძალიან სერიოზულად ვმუშაობთ.

**მესამე** — ეს არის იმ ფართების სწრაფი დაკანონება, სადაც დევნილები კანონიერად ცხოვრობენ. ვფიქრობთ, მომავალი წლის ბოლომდე ეს საკითხი უნდა დავამთავროთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და ამისთვის სპეციალური სამმართველო შეიქმნება ჩვენთან. როცა დევნილებს ეცოდინებათ, რომ ისინი თავისსავე საკუთრებაში ცხოვრობენ და არ არიან სხვის ფართში დროებით შეკედლებულები, ამ საკუთრების მიმართ შესაბამისი დამოკიდებულებაც გაუჩნდებათ, გაუჩნდებათ არჩევანის უფლებაც და საშუალებაც — აქვე გააგრძელონ ცხოვრება, თუ ეს საკუთრება, ვთქვათ, გაყიდონ, გააქირავონ ან დააგირავონ და იქ იცხოვრონ, სადაც მათთვის უფრო მოსახერხებელი იქნება.

ასევე, ძალიან აქტიურად დავიწყეთ მოლაპარაკება იმ კერძო მესაკუთრეებთან, რომელთა სახლებშიც დევნილები არიან შესახლებულები. ვცდილობთ, ყველა შემთხვევაში ისეთი გამოსავალი მოვნახოთ, რომ არც მესაკუთრე დაზარალდეს, არც დევნილი და არც სახელმწიფო. მაგალითად, თითქმის დამთავრდა ნუცუბიძის პლატოზე №34 კორპუსის პრობლემა, რომელიც 21 წელია, ვერ გადაწყდა. ამ კორპუსში ბინებს ჰყავთ მესაკუთრეები, მაგრამ ეს იყო ცარიელი კედლები, რომლებიც დევნილებმა ამოაშენეს, გაარემონტეს და სახლებად აქციეს. ორივე მხარეს აქვს ამ ბინებზე საკუთრების გრძნობაც და ამ გრძნობის რეალური საფუძველიც. ჩვენ ასეთი გამოსავალი მოვნახეთ - ვთავაზობთ რეალურ ფასს ყოფილ მესაკუთრეებს, რომ ამ ფასად სახელმწიფო გამოისყიდის ბინებს და დაუკანონებს დევნილებს, ხოლო ვინც ამ წინადადებას არ დათანხმდება, მას უფლება აქვს, დავა სასამართლოში გააგრძელოს.

**— 2012 წელს მოხდა მასობრივი შეჭრა, დევნილთა გარკვეულმა ნაწილმა შენობა თქვენი მინისტრობის შემდეგ ნებაყოფლობით დატოვა. მაგრამ არის კატეგორია, რომლებიც არ ტოვებენ შენობებს, იმ მიზეზით, რომ მათ საცხოვრებელი არ გააჩნიათ, როგორ აპირებთ ამ პრობლემის მოგვარებას?**

— ჩემს წინამორბედს ბატონ დავით დარახველიძეს არაერთხელ აქვს ნათქვამი, რომ ხშირ შემთხვევაში, ასეთი შეჭრები ნაციონალური მოძრაობის მიერ იყო ორგანიზებული და ამის კვალი მართლაც ხშირად ჩანს. არის გამონაკლისებიც, როცა უკიდურესად გაჭირვებულმა ოჯახმა სასოწარკვეთის გამო გადადგა ეს ნაბიჯი, ან ვიღაცა ფიქრობდა, რომ მოდი, ვცდი, შევიჭრები და იქნება შემრჩესო.



ერთ-ერთი ასეთი მწვავე ობიექტი იყო გურამიშვილის №17, ტექნიკური უნივერსიტეტის შენობაში იყვნენ დევნილები შესახლებული. ისე ჩანდა, რომ იქიდან გამოსახლება შეუძლებელი იყო, სწორი შეთავაზება გავუკეთეთ და აბსოლუტურად მშვიდად დამთავრდა ეს პროცესი. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ყველგან ასე დამთავრდება. ჩემი პრინციპული პოზიციაა, რომ ვისაც არ ეკუთვნის, ის ვერ დაიკანონებს იმ ფართს, სადაც უკანონოდ არის შეჭრილი. აქ მხოლოდ კანონიერება-უკანონობის საკითხი არ დგას, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი თემებიც შემოდის დღის წესრიგში - თუ ჩვენ დღეს ვიღაცას მხოლოდ იმიტომ დავუკანონებთ ბინას, რომ იქ ის პირველი შეიჭრა, ვიღაცა აუცილებლად დაიჩაგრება. დაიჩაგრება ის, ვინც ყველაზე მეტად გაჭირვებულია და ვისაც ამ ეტაპზე ყველაზე მეტად ეკუთვნოდა ბინით დაკმაყოფილება. მე ვერავის დავჩაგრავ იმის გამო, რომ ვიღაცამ მაპატიეთ და „იშუსტრა“ და სადღაც შეიჭრა. ასეთ ადამიანებს მოუწევთ ამ ფართების დატოვება.

**— რა ვითარებაა ამ მხრივ იგივე სპორტის აკადემიის შენობასთან დაკავშირებით, სადაც შეჭრილი არიან დევნილები, თითქოსდა მათ შენობა უნდა დაეტოვებინათ, თუმცა, გარკვეული ადამიანების ჩარევის შემდეგ, გადაიფიქრეს...**

— პრაქტიკულად ისინი თანახმა იყვნენ, კარგ პირობებს ვთავაზობდით. მათ ქირით გავიყვანდით იმ ქალაქში, სადაც ისინი მანამდე ცხოვრობდნენ, რაზეც ისინი თანახმა იყვნენ. მაგრამ იქ მივიდა რამდენიმე უპასუხისმგებლო ადამიანი, რომლებმაც საკუთარი თავი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლად გამოაცხადეს და დევნილებს უთხრეს: მყარად იდექით, თქვენ აქედან ვერავინ გაგასახლებთო. მინდა ყველას გასაგონად, ძალიან მკაფიოდ ვთქვა, რომ ეს არ მოხდება! იმედი მაქვს, ჯერ კიდევ არის შეთანხმების და კონსენსუსის მიღწევის რესურსი, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონი ამოქმედდება და ის იტყვის თავის სიტყვას.

**— ბატონო სოზარ, რაც შეეხება თბილისში მენაშენეებისგან შეჩერებული მშენებლობის შესყიდვას, ეს პროცესი დაწყებულია?**

— ეს მართლაც უმნიშვნელოვანესი საკითხია — აქ ლაპარაკია როგორც შეჩერებულ, ისე მიმდინარე მშენებლობაზე. ეს პროგრამა მალე ამოქმედდება და მიდგომა ძალიან მარტივია — ვინც ხელსაყრელ ფასს და ვადას შემოგვთავაზებს, მისგან ვიყიდით ბინებს. შესაბამისად, ბინების მიღება და განაწილება იქნება პერმანენტული პროცესი და არ იქნება მიბმული კონკრეტულ ადგილას კონკრეტული მშენებლობის დაწყება-დამთავრებაზე. ეს პროგრამა უკვე მომზადებულია და მთავრობის სხდომაზე უახლოეს ხანში მოხდება მისი განხილვა.

ასევე აქ ჩნდება კიდევ ერთი საკითხი, ეს არის თბილისის ზღვაზე ჩინელებისგან ფართების შესყიდვა, რომელიც ასევე გრძელვადიანი პროექტია. ეს კარგი პროექტია იმ კუთხითაც, რომ იქ ჩასახლებულ დევნილებს ადგილზე უჩნდებათ სამუშაო.

**— თქვენმა წინამორბედმა დააანონსა კრწანისში 107-მილიონიანი პროექტი და აღნიშნა, რომ 2016 წელს არც ერთი უსახლკარო დევნილი არ იქნებოდა საქართველოში. დაიწყო ამ დასახლების მშენებლობა?**

— ვერ გეტყვით, რას ეფუძნებოდა ეს დაპირება. რაც შეეხება ამ კორპუსის მშენებლობას, ჯერ ერთი, სამწუხაროდ, ეს ფული ჯერ არაა მოძიებული. მეორეც, ასეთი მინი ქალაქის მშენებლობა მოითხოვს ძალიან დიდ ხარჯებს, რაც თავად მშენებლობის ხარჯს ემატება, ეს არის კომუნიკაციების ხარჯი - წყალი, დენი, გაზი, კანალიზაცია, გზა... ასევე, ამას დაუმატეთ სკოლა, საბავშვო ბაღი, სპორტული მოედნები, პოლიკლინიკა და უამრავი სხვა რამ. საბოლოოდ, ასეთი პროექტი შეიძლება ბევრად ძვირი დაჯდეს, ვიდრე მენაშენეებისგან ბინების შესყიდვა. თანაც, ეს მეორე ვარიანტი გვაძლევს შანსს, უამრავ ადამიანს დავუბრუნოთ დაკარგული იმედი, რომ მათი გაჩერებული ბინები დამთავრდება და ამით ბიზნესის განვითარებასაც მივცემთ ბიძგს.

იხ. 9 გვ.

◉ პროვოკაცია თუ გასაჭირი?

## ფოთიდან რამდენიმე დევნილი თბილისისკენ ფეხით მოემართება

**რამდენიმე დევნილი ფოთიდან თბილისისკენ ფეხით მოემართება. ისინი ფოთში საცხოვრებელ ბინებს მოითხოვენ. როგორც დევნილებმა “ინტერპრესნიუსთან“ განაცხადეს, თბილისში პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა სურთ. ფოთიდან თბილისისკენ 5 დევნილი მოემართება, მათ უერთდება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი დარეჯან ცხვიტარია.**

**ფოთში დევნილები რამდენიმე დღის განმავლობაში შიმშილობდნენ, ისინი ახალ დასახლებაში საცხოვრებელ ბინებს მოითხოვენ.**



# კომშმარული იურიდიული აბსურდის თეატრი: წარმოდგენის მეორე აქტი?



**საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი მოლოდინი, ხალხის სანუკვარი ოცნება, რომლის აღსრულების იმედით 2012 წლის ოქტომბერში ხელისუფლება შეიცვალა, უსამართლობის ზეობის ყოვლად ამაზრზენი პროცესის შეჩერება იყო, რომელიც ქვეყანაში წლების მანძილზე მიმდინარეობდა. უკიდურესი აღშფოთების ტალღის ქიმზე მოსული ხელისუფლების მრავალ დაპირებას შორის ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო უსამართლობის გამოსწორება იყო, რომელიც წინა ხელისუფლებას ათიათასობით მოქალაქის მიმართ ჰქონდა ჩადენილი. სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ბევრი რამ გაკეთდა კიდეც — საპატიმროებიდან მრავალი უკანონოდ მსჯავრდებული გათავისუფლდა, არაერთი პირი რეაბილიტირებულია, ზოგს ქონებაც დაუბრუნეს. მაგრამ ისიც ხომ ნაღდია, რომ ქვეყანაში სამართალი სამართლიანი ვერასოდეს გახდება, უსამართლოდ დაჩაგრულ-დაზარალებული ერთი კაცი მაინც თუ იქნება. არადა, საზოგადოებრიობისთვის კარგადაა ცნობილი არაერთი ასეთი ფაქტი.**

***„ვალერიან კევლიშვილი მუშაობდა შს სამინისტროს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს შენობა-ნაგებობების სამუშაოების ორგანიზებისა და ტექნიკური სამსახურის უფროსად მუშაობდა. 2012 წლის 28 მარტს სახელმწიფომ გადასცა ვ. კევლიშვილს სიმბოლურ 1 ლარად, კახეთის გზატკეცილის №368-ში მდებარე 46,9 კვ. მეტრი სხვენი.***

***2012 წლის 9 აპრილს ვ. კევლიშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტებით.***

***ციხეში ყოფნის პერიოდში, საპროცესო შეთანხმების გაფორმების პირობით, ვ. კევლიშვილი იძულებული გახადეს სახელმწიფოს მიერ მისთვის მიყიდული ფართი სახელმწიფოსთვისვე ეჩუქებინა, რაც განხორციელდა კიდეც 2012 წლის 28 მარტის ხელშეკრულებით. გაფორმდა ჩუქების ხელშეკრულება და გაფორმდა საპროცესო შეთანხმებაც. ვ. კევლიშვილს 2012 წლის 25 ივნისის განაჩენით მიესაჯა ერთი წელი და ჯარიმა 10 ათასი ლარის ოდენობით. სახელმწიფოსთვის გადაცემული ბინა საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული არ იყო და ვ. კევლიშვილმა 10 ათასი ლარი სრულად გადაიხადა...“***

— ფაქტობრივად გამოდის, რომ ვ. კევლიშვილმა საპროცესო გარიგებით დადგენილი თანხა გადაიხადა, სასჯელიც მიიღო, ამასთან, ყოველივე ამის გვერდის ავლით მან დამატებით სახელმწიფოს... მშენებარე კორპუსში ბინაც აჩუქა, რომელიც შემდგომ, ასევე სიმბოლურ ერთ ლარად... მისი საქმის გამომძიებელს გადაეცა, — ამბობს იურიდიული კომპანიის „სამართლის სახლის“ დირექტორი **ბეჟან ბეჟუაშვილი,** რომელიც ამჟამად ვ. კევლიშვილის ინტერესებს იცავს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან მიმდინარე დავაში. — ეს გარიგება კანონშესაბამისი მაშინ იქნებოდა, იგი საპროცესო ნორმების დაცვით რომ გაფორმებულიყო. ფაქტობრივად კი გამოვიდა, რომ გარიგება შედგა, მაგრამ ფაქტი დოკუმენტურად არ დაფიქსირებულა. ამდენად, ვ. კევლიშვილმა სასჯელიც მიიღო, თავისუფლების სანაცვლოდ გადაიხადა საპროცესო გარიგებით დადგენილი თანხა (10 ათასი ლარი) და ყოველივე ამის გვერდის ავლით დამატებით, ნებაყოფლობით იმ სახელმწიფოს აჩუქა ბინა, რომელმაც მის მამართ სრულიად უსაფუძვლო რეპრესია განახორციელა.

ბატონ ვ. კევლიშვილის ამბავში ეს არ არის ყველაზე გასაოცარი პასაჟი, და იმის მიუხედავად, რომ მის მიმართ განხორციელებული სახელმწიფო რეკეტის ფაქტი თავისთავად ამაზრზენია, თურმე გაცილებით მეტ საზიზღრობას სხვა უწყების, კერძოდ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ჩინოსნები სჩადიან.

— მას შემდეგ, რაც ბატონმა ვ. კევლიშვილმა მოგვმართა, ამ საქმეს იურიდიულად მივყევით, — განაგრძობს „სამართლის სახლის“ დირექტორი. — ბინის გაჩუქების ხელშეკრულება კერძო პირსა და სახელმწიფოს წარმომადგენელს, ამ შემთხვევაში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორისაა გაფორმებული. აქ არსებობს ერთი იურიდიული ნიუანსი: თუკი ჩუქების აქტი მართლაც ნებაყოფლობითი იყო და არა იძულებითი, მას თავისი გაუქმების ლეგიტიმური საფუძვლები აქვს. მეტად მნიშვნელოვანია ასევე საქმის მორალური ასპექტი, მით უმეტეს, რომ კანონი ამის წინა პლანზე წამოწევის შესაძლებლობას იძლევა.

ერთი სიტყვით, ბატონმა ვ. კევლიშვილმა ჩვენი ფირმის მეშვეობით 2012 წლის 28 მარტს მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფოსთვის საცხოვრებელი ფართის ჩუქების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების მოშლის სავსებით ლეგიტიმური, კანონიერი მოთხოვნით. იმას თუ გავიხსენებთ, რა განწყობით, რა განცხადებებით მოვიდა ხელისუფლებაში კოალიცია „ქართული ოცნება“, ამ საკითხის გადაწყვეტა უმარტივესად შეიძლებოდა — უკანონოდ ჩამორთმეული ქონება ძველ მეპატრონეებს უნდა დაბრუნებოდათ. ხაზგასმით ითქვა ისიც, რომ სასამართლოებისთვის ზედმეტი ტვირთის მოსაცილებლად, სადაც ამის ლეგიტიმური საფუძველი არსებობდა, მხარეებმა სამართალი უშუალოდ ერთმანეთთან მოლაპარაკების გზით აღადგინეთო და ეს, ჩემი აზრით, უწინარესად, კერძო პირებს ეხებოდა.

— ახლა რეალობა როგორია, იცით? — მეკითხება ბატონი ბეჟანი და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ვალერიან კევლიშვილის სამოქალაქო საქმეზე შესაგებლის ასლს მაჩვენებს:

***„საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არ ეთანხმება სასარჩელო მოთხოვნებს, მიაჩნია, რომ სარჩელი არის უსაფუძვლო და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:***

***მოსარჩელე მხარე უთითებს მისი საკუთრების უფლების დარღვევას საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, როდესაც პატიმარი ვ. კევლიშვილი „იძულებული გახადეს სახელმწიფოს მიერ მისთვის მიყიდული ფართი სახელმწიფოსთვისვე ეჩუქებინა“. საპროცესო შეთანხმების გაფორმების პირობით სარჩელში ცალსახად არის იმის მტკიცება, რომ საპროცესო შეთანხმებისთვის სავალდებულო პირობა ვ. კევლიშვილის მიერ სადავო ფართის სახელმწიფოსთვის დაბრუნება იყო...***

***...გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ უკვე გასულია შეცილების ვადები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხლის მიხედვით იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში...***

***მიგვაჩნია, რომ ვ. კევლიშვილის სასარჩელო მოთხოვნა არის სრულიად უსაფუძვლო და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს“.***

**— ფაქტობრივად, საქმე იმასთან გვაქვს, რომ სამინისტროს მოხელეები ადეიშვილის ავადსახსენებელი დროის პოზიციებს იცავენ, უკანონო მოქმედებას, ჩადენილიც რომ იყოს, ახლა ამაზე დავას, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, აზრი აღარ აქვსო, — აი, მათი პასუხის არსი.**

**იბადება კითხვა: დანაშაულის ხანდაზმულობის ვადებს უკლებლივ ყველა ცივილიზებული სახელმწიფო უდიდესი სიფრთხილით უდგება და ჩვენ რაღა მოგვდის? გვგონია წარსულს ჩაბარდა ცხრაწლიანი სამართლებრივი კოშმარი და, რა გამოდის, ახლაც იგივე გრძელდება, ოღონდ მოტივაციათა გარკვეული ვარიაციებით?!**

— ბატონ ვ. კევლიშვილის საქმე სამართლებრივი აბსურდის ერთეული შემთხვევა არ გეგონოთ, — განაგრძობს ბატონი ბეჟუაშვილი. — ცოტა ხნის წინათ ჩვენ „სამართლის სახლში“ ასეთი სარჩელი მოიტანეს: 2010 წელს პიროვნება დააპატიმრეს, მის ბინაში ჩხრეკაც ჩაატარეს, რა დროსაც 28 ათასი დოლარი ამოიღეს, რაც ჩხრეკის ოქმშია დაფიქსირებული. მთელი „ფოკუსი“ კი ისაა, რომ მართალია ჩხრეკის ოქმში ფულის ამოღება სათანადოდაა აღნუსხული, მაგრამ სასამართლო საქმის შემდგომ მასალებში ეს 28 ათასი დოლარი... აღარსად ჩანს, თანხა დღესდღეობითაც „გამქრალია“(?!). ეს პიროვნება ჩხრეკის ჩამტარებელ პროკურატურის თანამშრომლებს მიმართავს, უფრო სწორედ კი მისი საქმის მწარმოებელ პროკურორს, რომელიც ისევ განაგრძობს მუშაობას — სად არის ჩემი სახლიდან წაღებული 28 ათასი დოლარი, თანხის დაბრუნებას მოვითხოვო. — მე რატომ მომმართავთ, მიბრძანდით, თქვენი ფულის ამბავი სასამართლოში გაარკვიეთო. რა უნდა ექნა ამ პიროვნებას, მიმართა სასამართლოს განცხადებით, საიდანაც იურიდიულად სრულიად დასაბუთებული პასუხი მიიღო: **აღნიშნული თანხა ნივთმტკიცებულებად ცნობილი არ არის, ამდენად სასამართლოს მასზე განაჩენში მსჯელობის, კერძოდ, დაბრუნება-არდაბრუნების საკითხის განხილვის საშუალება არ ჰქონდა. მოკლედ, რა იქნა ეს 28 ათასი დოლარი, დღემდე გაურკვეველია...**

და ამგვარი საქმეები მრავლად არის. სამართლის სახლის იურისტები ამჟამად სასამართლო პროცესში ვართ ჩართულნი — ერთმა პირმა მეორეს უჩივლა, რომ მან 100-პროცენტიან მფლობელობაში არსებული ფირმა წაართვა. სასამართლომ იგი დაზარალებულად, მეორე პირი კი ბრალდებულად ცნო და სასჯელიც მიუსაჯა, ხოლო ქონება... სახელმწიფომ წაიღო(?!).

ცოტა ხნის წინათ იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, ყველა პრეტენზია რომ დავაკმაყოფილოთ, სახელმწიფო ჩამოიქცევაო. მაინტერესებს: ეგ როგორ? იქნებ საზოგადოებას ვუპასუხოთ, თუ უსამართლოდ დაზარალებულ ხალხს დღესდღეობით სახელმწიფო ბალანსზე არსებული უკანონოდ ჩამორთმეული ქონება დაუბრუნდება, რომლის შექმნაში თავად სახელმწიფოს ერთი თეთრიც არა აქვს დახარჯული, რა ზარალზეა ლაპარაკი? არადა, სახელმწიფოს კუთვნილებაში დღესდღეობითაც რჩება მესაკუთრეთათვის კანონდარღვევით ჩამორთმეული არაერთი საწარმო, რომელიც ახლაც უმოქმედოდაა, არც პროდუქციას უშვებენ, არც ხალხია იქ დასაქმეული, თან მოუვლელობით ინგრევა და პარტახდება. ამით სახელმწიფო ბიუჯეტიც ზარალობს, დაჩაგრული კერძო მესაკუთრეც და ხალხიც.

**სახელმწიფოს ზარალზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი, თუკი კერძო პირის ქონება კანონიერადაა ჩამორთმეული, სახელმწიფო მის გასხვისებას და ამით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას აპირებს. სხვა შემთხვევაში როგორ შეიძლება სხვის ქონებაზე მას კანონიერი პრეტენზია ჰქონდეს?**

— ბოლოს, მასმედიის წარმომადგენლებს, ვთხოვ, — ამბობს ბატონი ბეჟუაშვილი, — დარწმუნებული ვარ, დიდი მნიშვნელობა ექნება ყოველივე უსამართლობის შესახებ საზოგადოება ჯეროვნად იყოს ინფორმირებული. იქნებ ერთობლივი ძალისხმევით შევძლოთ სამართლიანობის ნაბიჯ-ნაბიჯ აღდგენა.

**ოთარ ტურაბელიძე**

## კრიმინალი

### პატიმრის განთავისუფლების ნაცვლად თაღლითი თავად მოხვდა ციხეში

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა თაღლითობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა. უწყების ინფორმაციით, აყვანილია მზია ტატიაშვილი.**

**როგორც გამოძიებით დადგინდა, მზია ტატიაშვილი ერთ-ერთ მოქალაქეს დაპირდა, რომ ბრალდებული პირის შეწყალების სანაცვლოდ, სასჯელაღსრულების სისტემის და შეწყალების კომისიის მაღალჩინოსნებს გადასცემდა 15 000 აშშ დოლარს, რის შედეგადაც, ბრალდებული სასჯელისაგან გათავისუფლდებოდა.**

**„აღნიშნულ თანხას მზია ტატიაშვილი მოტყუებით, თაღლითურად თავად დაეუფლა“, — განაცხადა საგამოძიებო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა გიორგი გრძელიშვილმა.**

**დანაშაული თავისუფლების 6-დან 9 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს.**

### დუისში ძმამ და ცივი იარაღით დაჭრა



**პანკისის ხეობის სოფელ დუისში ძმამ საკუთარი და ცივი იარაღით დაჭრა. 33 წლის რუსუდან ხანგოშვილს 7 ჭრილობა ზურგის არეში აქვს მიყენებული.**

**დაჭრილს გადაუდებელი ქირურგიული ოპერაცია ახმეტის საავადმყოფოში ჩაუტარდა. მდგომარეობის სიმძიმიდან გამომდინარე, მოგვიანებით ის თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ადგილობრივების თქმით, ინციდენტი და- ძმას შორის ურთიერთშელაპარაკებას მოყვა. ეჭვმიტანილი, რომელსაც გავრცელებული ინფორმაციით ფსიქიკური პრობლემები აქვს, პოლიციამ დააკავა.**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**საქართველო აგრძელებს ნატოში ინტეგრაციის პროცესს, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი არ მიესალმება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოებას. ამის შესახებ 28 სექტემბერს განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა მაია ფანჯიკიძემ.**

**„ჩვენი გზავნილი რუსეთის მისამართით არის ის, რომ ნატოს გაფართოება არავის წინააღმდეგ არაა მიმართული, მით უმეტეს... რუსეთის წინააღმდეგ. პირიქით, რუსეთის ინტერესებში შედის, ჰყავდეს სტაბილური მეზობელი. ამას გარდა, ეს არის ურთიერთობანი, რომლებიც აქვს საქართველოს, დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან, დამოუკიდებელ საერთაშორისო ალიანსთან. რუსეთს ამ ალიანსში არ აქვს ვეტოს უფლება, რაც არაერთგზის აღინიშნა ნატოს ისევე, როგორც მისი წევრი ქვეყნების მხრიდან. ამის შესაბამისად, ჩვენი პასუხი ერთმნიშვნელოვანია: ჩვენ ვაგრძელებთ საქართველოს ინტეგრაციას ნატოში“,** — განაცხადა ფანჯიკიძემ როდესაც კომენტარს უკეთებდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის გამოსვლას გაეროს გენერალური ასამბლეის 69-ე სესიაზე.

# მაია ფანჯიკიძე: ნატოში საქართველოს ინტეგრაცია რუსეთის ინტერესებში შედის

### თბილისი კომენტარს უკეთებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას გაეროს გენერალურ ასამბლეაზე



შეგახსენებთ, რომ თავის გამოსვლაში, რომელიც 27 სექტემბერს გაიმართა, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი აგრძელებს წინ წაწევას აღმოსავლეთისაკენ, „მიუხედავად ადრე მოცემული დაპირებებისა საპირისპიროს შესახებ“. ლავროვის სიტყვებით, ნატომ გამოავლინა „ალიანსის უუნარობა შეცვალოს თავისი გენეტიკური კოდი, რომელიც ჩაიასახა „ცივი ომის“ ეპოქაში.

**„რუსეთი თანმიმდევრულად გამოდის ევროპასა და ევრაზიაში ინტეგრაციული პროექტების ჰარმონიზაციისათვის... მნიშვნელოვანი მიმართულებისათვის საჭირო იქნებოდა პრაგმატული დეიდეოლოგიზებული საუბარი ევროატლანტიკაში სამხედრო-პოლიტიკური არქიტექტურის შესახებ, რომ არა მხოლოდ ნატოს წევრები და სხვა ქვეყნები, არამედ რეგიონის ყველა ქვეყანა, მათ შორის უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, გრძნობდნენ თავს თანაბარი უფლებებითა და ურყევი უშიშროებით და არ აღმოჩნდნენ ცრუ არჩევანის წინაშე: „ან ჩვენთან, ან ჩვენს წინააღმდეგ“,** — განაცხადა ლავროვმა გაეროს ტრიბუნიდან.

მოგვიანებით, პრესკონფერენციაზე, როდესაც უპასუხებდა ქართველი ჟურნალისტის შეკითხვას, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ რუსეთს ნატოს გაფართოება „მიაჩნია დიდ შეცდომად“, ვინაიდან, მისი სიტყვებით, იგი წარმოადგენს „პოლიტიკური ხელშეკრულებების დარღვევას“.

ერთი დღით ადრე, როდესაც ამავე ტრიბუნიდან გამოდიოდა გაეროში, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა „საქართველოს გაღრმავებული ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და მზადყოფნის შესახებ შეასრულოს ყველა ვალდებულება ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმებისა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობის გეგმის წესაბამისად.

## 21-ე წლისთავი

**ბარდა დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივისა, თბილისში ევროატლანტიკურ ალიანსში ხედავენ შესაძლებლობას აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. მმართველი კოალიციის წარმომადგენლები, ისევე, როგორც ოპოზიცია, არაერთგზის აცხადებდა, რომ მშვიდობიანი და აყვავებული საქართველო გახდება მიმზიდველი აფხაზებისა და ოსებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მშვიდობიანი ურთიერთობის აღდგენას სეპარატისტულ რეგიონებთან.**

27 სექტემბერს საქართველოში აღნიშნეს დაცემის დღის 21-ე წლისთავი, აფხაზეთში კი, სოხუმის „გათავისუფლების“ დღე. ორივე დედაქალაქში მთავრობათა წევრებმა გვირგვინებით შეამკეს დაღუპულ მეომართა მემორიალები. მთელ აფხაზეთში გაიმართა საზეიმო ღონისძიებანი, საქართველოში კი 27 სექტემბერი, რომელიც გამოცხადებულია „ხსოვნისა და იმედის დღედ“, საუბრობდნენ აფხაზეთში მომავალი დაბრუნებისა და შერიგების შესახებ.

**„27 სექტემბერი იყო ომის დასასრული, მომავალი შერიგებას ეკუთვნის, სოხუმში დაბრუნებას“,** — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა.

**„დარწმუნებული ვარ, რომ მოვა დრო და ჩვენ მოვესწრებით იმ ეპოქას, როდესაც ეს დღე აღინიშნება სხვაგვარად. აღინიშნება, ერთი მხრივ, როგორც იმ ადამიანთა ხსოვნის დღე, რომლებმაც თავი შესწირეს, მეორე მხრივ კი, როგორც დღე, რომელიც კვლავ დააკავშირებს ერთმანეთთან ადამიანებს, რომლებიც ამჟამად კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს იმყოფებიან. ეს დღე მოვა მშვიდობიანად და არა იარაღით“,** — თქვა ამასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა.

საქართველოს ექს-პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც გააკეთა კომენტარები სოხუმის მოვლენებთან დაკავშირებით, გაავლო პარალელები უკრაინაში შექმნილ სიტუაციასთან.

„საქართველომ ოთხჯერ მოაწერა ხელი შეთანხმებას რუსეთთან, რომლებიც ძალიან ჰგავს მინსკის შეთანხმებას. რუსეთი ყოველთვის მზაკვრულად არღვევდა მას. მაგალითად, 1993 წლის ივლისში ხელი მოეწერა სოჭის შეთანხმებას სეპარატისტული და სამთავრობო ჯარების გაყვანის შესახებ თანაბარ დისტანციაზე. ქართულმა ჯარებმა გაიყვანეს თავისი არტილერია და ჯავშანტექნიკა და საშუალება მისცეს რუსების „ჰუმანიტარულ“ შენაერთებს, დაუბრკოლებლად გადაადგილებულიყვნენ. შევარდნაძემ განაცხადა, რომ ქართული დიპლომატიის ძალისხმევით მშვიდობა მიღწეული იქნა და მოუწოდა ადამიანებს დაუბრუნდნენ ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს. მალე ამის შემდეგ შეთანხმება დაირღვა. საქართველოს თითქმის ნახევარი მილიონი მოქალაქე გამოდევნეს თავიანთი სახლებიდან. 2008 წელს კრემლმა გამოაცხადა, რომ ძველი შეთანხმებები მას უკვე აღარ ბორკავს, ვინაიდან **„შეიქმნა ახალი რეალობა“: კერძოდ, აფხაზეთი რუსეთმა აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“,** — დაწერა სააკაშვილმა თავის გვერდზე „ფესისბუკის“ სოციალურ ქსელში.

შეგახსენებთ, რომ რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის შედეგად 2008 წლის აგვისტოში, რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა და შეიყვანა დამატებითი ჯარები და შეიარაღება თავის სამხედრო ბაზებზე ამ ტერიტორიებზე. მსოფლიოს ყველა ქვეყანა — ვენესუელის, ნიკარაგუასა და ნაურუს გარდა — ამ რეგიონებს აღიარებს საქართველოს ტერიტორიად, რომელიც ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

## „ნატოს მაგალითისა და საპირისპირო მოქმედების შესაბამისად“

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწის ვლადისლავ სურკოვის განცხადებით, რომელიც 25 სექტემბერს გააკეთა, წლის ბოლომდე ხელი მოეწერება ახალ შეთანხმებას მოკავშირეებთან და რუსეთისა და აფხაზეთის ინტეგრაციის შესახებ.**

**„დოკუმენტის პროექტი გაითვალისწინებს თავდაცვისა და უშიშროების საერთო სივრცის ჩამოყალიბებას. თავდაცვის ერთიანი საგარეო კონტურის შექმნა საშუალებას მოგვცემს უზრუნველვყოთ რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის გახსნა, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებას“,** — განუცხადა ჟურნალისტებს აგვისტოს ბოლოს რუსეთის ხელმძღვანელობის წარმომადგენელმა.

ამავე დროს, ცხინვალის წარმომადგენლის სიტყვებით, სამხრეთი ოსეთიც ასევე აწარმოებს მოლაპარაკებას ამ შეთანხმებასთან მიერთების შესახებ. როგორც ცხინვალში აცხადებენ, მხარეები განიხილავენ შეთანხმების ფორმას: იქნება ეს ერთიანი სამმხრიანი ხელშეკრულება, თუ სამხრეთი ოსეთი დადებს ცალკეულ შეთანხმებებს რუსეთთან და აფხაზეთთან.

**აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტის ვიტალი გაბუნიას სიტყვებით, „საკითხი შეეხება მზადებას ძლიერი ბლოკის შექმნისათვის ნატოს მაგალითითა და საპირისპირო მოქმედების შესაბამისად“.**

**ამჟამად სამხედრო თანამშრომლობა მხარეებს შორის განისაზღვრება შეთანხმებებით, რომლებიც გააფორმეს რუსეთის ფედერაციის, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის თავდაცვის მინისტრებმა 2009 წლის სექტემბერში.**

Voice of America

## დედამიწის ზურგზე



**კრიმინალურ საგანგებო შემთხვევათა სერია მექსიკაში: დაიღუპა დაახლოებით 20 კაცი, დაპატიმრებული არიან პოლიციელები**

**თავდაპირველად, ჩრდილოეთ შტატ ჩიუაუაში მოხდა სროლები ნარკომოვაჭრეების ბანდებს შორის — დაიღუპა 11 კაცი. მოგვიანებით ქვეყნის სამხრეთში გერეროს შტატში დააფიქსირეს შეტაკება სტუდენტებსა და პოლიციას შორის — არიან დახოცილები, 22 წესრიგის დამცველი დაკავებულია. მსხვერპლთა შორის არიან ფეხბურთის კლუბის წევრები. ასევე აკაპულკოში მოკლეს ერთი პოლიტიკოსი.**

* * *

**იაპონიის პრემიერი გამოვიდა რუსეთთან დიალოგის გაგრძელების მხარდასაჭერად უკრაინასთან და მშვიდობიან დიალოგზე მოლაპარაკებასთან დაკავშირებით.**



**სინძო აბემ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა კონსტრუქტიულ მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო გაერთიანების პრობლემებში, ამიტომ აპირებს, გააგრძელოს დიალოგი რუსეთთან უკრაინის კრიზისის გამო. პრემიერის სიტყვებით, ტოკიო მხარს უჭერს მოსკოვთან დისკუსიის გაგრძელების პოლიტიკას „დიდ შვიდეულთან“ თანამშრომლობაში.**

* * *

**იაპონიაში ვულკან ონტაკეს ამოფრქვევის მსხვერპლი 36 კაცი გახდა. მაშველები ეძებენ გადარჩენილებს და ახდენენ ცხედრების ევაკუირებას**



**24 კაცი ნახეს ცოცხალი, მაგრამ შემდეგ საძიებო-სამაშველო ოპერაცია შეწყვიტეს ტოქსიკური გაზების გამო, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენდნენ მაშველებისთვის. დაახლოებით 40 კაცი დაკარგულად ითვლება. ამავე დროს ვულკანის კრატერიდან კვლავ ამოდის ორთქლი, ფერფლი და გავარვარებული ლავა, რომლებიც იფანტებიან 4 კილომეტრის რადიუსში, ადგილ-ადგილ დაფიქსირებულია ზვავების გაჩენა.**

* * *

**ობამამ გამორიცხა რუსეთისა და ნატოს შორის სამხედრო კონფლიქტის შესაძლებლობა**



**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კვლავ დასდო ბრალი რუსეთს „აგრესიაში, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დარღვევაში“, უფრო სუსტ და ტერიტორიით უფრო პატარა ქვეყანასთან. ობამამ აღნიშნა, რომ, მიუხედავად სირთულეებისა, არსებობს უკრაინის კრიზისის პოლიტიკური მოწესრიგების შესაძლებლობა.**

## კითხული კაცის აზრი

# „სამხრეთის გაზის დერეფნის“ მოდიფიკაცია

**2014 წლის 20 სექტემბერს ბაქოში დაიწყო ბაქო-თბილისი-ერზრუმის მარშრუტის „სამხრეთკავკასიური გაზსადენის“ (SCP) მეორე მილის მშენებლობა. ეს მილი საქართველოს საზღვართან SCP-ს არსებულ მილსადენს შეუერთდება. 2019 წლისთვის „შაჰდენიზი 2-ის“ გაზი, „ტრანსანატოლიური“ (TANAP) და ტრანსადრიატიკული“ (TAP) გაზსადენებით, იტალიამდე მივა. ეს მოვლენა აზერბაიჯანის ოფიციოზმა „მონათლა“ როგორც „სამხრეთის გაზის დერეფნის“ მშენებლობის ოფიციალური ინაუგურაცია.**

ცერემონია აზერბაიჯანის და ბულგარეთის პრეზიდენტების, საქართველოს, საბერძნეთისა და მონტენეგროს პრემიერების, იტალიის, ბრიტანეთისა და თურქეთის ენერგეტიკის მინისტრების და აშშ-ის წარმომადგენლის თანდასწრებით წარიმართა. საინტერესოა, რომ ამჟამად აზერბაიჯანი და თურქეთი TAP-ში და TANAP-ში აქციების უმრავლესობას ფლობენ, რაც ბაქოს და ანკარას ამ პროექტების დასრულების შემდეგ, მათზე სრული კონტროლის საშუალებას მისცემს. ეს მაშინ, როცა ევროკავშირის გლობალური პროექტი „ნაბუქო“, როგორც „დერეფნის“ უმთავრესი ელემენტი, სავარაუდოდ, აღარ განხორციელდება.

ამ მოვლენამდე ერთი დღით ადრე, 2014 წლის 19 სექტემბერს, ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია ანტირუსული ეკონომიკური სანქციების გამკაცრების შესახებ. ევროდეპუტატებმა ევროკავშირის საბჭოს მოუწოდეს გამორთონ რუსეთი SWIFT-ის საერთაშორისო საანგარიშსწორებო სისტემიდან, შეწყვიტონ მშვიდობიანი ატომის სფეროში თანამშრომლობა და შეაჩერონ დაგეგმილი შეთანხმებების გაფორმება ენერგეტიკულ სექტორში — მათ შორის აკრძალონ „სამხრეთის გაზის დერეფნის“ კონკურენტი პროექტის — რუსული „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობა. რფ-ს ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა ალექსეი კუდრინმა მარტო SWIFT-ის გამორთვით რუსეთის მშპ-ზე მიყენებული ზარალი 5%-ით შეაფასა.

ზემოაღნიშნულით, გარდა არქტიკისა და შავი ზღვის შელფის ათვისების ამბიციური რუსულ-ამერიკული ერთობლივი პროექტებისა, სავარაუდოდ, დაზარალდება იამალზე დაწყებული 27 მლრდ დოლარის (21 მლდ ევრო) ღირებულების „ნოვატეკის“ გაზის გათხევადების პროექტიც. მასზე უკვე 6 ათასი კაცია დასაქმებული და მომავალ წელს კიდევ 9 ათასი ადამიანის დასაქმება იგეგმება. პროექტის ბიუჯეტში თანხების არსებობის შემთხვევაშიც კი, უცხოური არქტიკული ტექნოლოგიების გარეშე, იგი ვერ განხორციელდება. არადა, აქციონერების — „ნოვატეკის“, ჩინური CNPC—ის და ფრანგული „ტოტალის“ მიერ, ამ პროექტში უკვე ინვესტირებულია 6 მლრდ დოლარი (4.6 მლრდ ევრო). თვითმხილველთა მტკიცებით მუშაობა სადღეღამისო რეჟიმში მიმდინარეობს. „ტოტალი“ ბრიუსელს აფრთხილებს, რომ დასავლური ბანკებიდან იამალის პროექტის დაკრედიტების შეწყვეტა, 2018 წლიდან გამოიწვევს ევროპის თხევადი გაზით მომარაგების მესამედით შემცირებას, ანუ ყოველწლიურად დასავლეთი ვერ მიიღებს 16.5 მლნ ტონა თხევად გაზს, რაც საფრანგეთის ნახევარი წლის გაზის მოხმარების ეკვივალენტია. ამიტომ, ევროპის მინისტრთა საბჭოში ევროპარლამენტის აღნიშნულ რეკომენდაციებს საფრანგეთი, სავარაუდოდ წინ აღუდგება.

ამავდროულად, რფ-ს პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ახლო მეგობარი გენადი ტიმჩენკო, რომელიც „ნოვატეკის“ მსხვილი აქციონერია აცხადებს, რომ ჩინეთი, რომლის ენერგოკომპანია CNPC იამალის პროექტში 20%-იან წილს ფლობს, თანახმაა გამოყოს 20 მლრდ დოლარი (15 მლრდ ევრო) 2014 წლის დასრულებამდე. თუმცა, ჩინური საბანკო სექტორის ანონიმურმა წარმომადგენელმა ამ დღეებში „როიტერს“ განუცხადა, რომ ჩინეთი თავს შეიკავებს აშშ-ის მხრიდან სანქციონირებულ კომპანიებთან ურთიერთობებისგან...

ყოველივე ზემოაღნიშნული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ:

**— ბუნებრივი აირის მცირე მოცულობის (წლიურად 10 მლრდ კუბმეტრი) ექსპორტის გამო, აზერბაიჯან-თურქეთის დაპროექტებული ახალი ინფრასტრუქტურა მხოლოდ ნაწილობრივ არის ევროკომისიის 2008 წელს მიღებული „სამხრეთის გაზის დერეფნის“ კონცეფციის (60 მლრდ კუბმეტრის ყოველწლიური იმპორტი) სამართალმემკვიდრე. ეს იმითაც დასტურდება, რომ ევროკავშირის კომპანიები (BP-ს გარდა) ფაქტიურად აღარ მონაწილეობენ კასპიისპირეთის გაზის ევროპაში ტრანსპორტირების პროექტებში;**

**— ევროპაში აირის ტრანსპორტირების ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების ფორმა ფაქტიურად ბაქოში და ანკარაში განისაზღვრა, რომელთა ენერგოპოლიტიკა დასავლეთის მიმართ უკვე აღარაა ისეთი კომპრომისული, როგორც ადრე. ეს ნაწილობრივ მათი რეგიონალური პოზიციების გამყარებითაა გამოწვეული — დაპროექტებული მარშრუტები ხომ ანკარასა და ბაქოს ინტერესების რეალიზაციას ემსახურება! ერთის მხრივ, აზერბაიჯანი გაზრდის თავისი გაზის რუსული მარშრუტის გვერდის ამქცევ ექსპორტს (ბოლო წლებში კაზიმაგამედ-მოზდოკის გაზსადენით რუსეთში წლიურად მხოლოდ 1.3-2 მლრდ კუბმეტრი აზერბაიჯანული გაზი მიდის. მეორეს მხრივ, ანკარა სულ უფრო მეტ გაზს მიიღებს აზერბაიჯანიდან, რაც ხელს შეუწყობს მისი, როგორც სატრანზიტო „ჰაბის“ ამბიციის რეალიზაციას. ეს ამ ქვეყნებზე, და მაშასადამე მთელ სამხრეთ კავკასიაზე, ევროკავშირის პოლიტიკური ინსტრუმენტების ზემოქმედების შესუსტებას გამოიწვევს. „შაჰდენიზი 2“-ის ინაუგურაციაზე ევროკავშირის პერსონალური წარმომადგენლის არყოფნა ამ მოსაზრებებს ადასტურებს;**

**— ამ ეტაპზე შეცდომა იქნება იმაზე საუბარი, რომ „დერეფანზე“ უკვე აზერბაიჯანისა და გარკვეულწილად, თურქეთის სრული კონტროლია დამყარებული და ის აღარაა ევროკავშირის პრიორიტეტი. ანკარა და ბაქო გადაჭარბებით აფასებენ თავიანთ როლს, რაც სავარაუდოდ, ხარჯების აზერბაიჯანზე დაკისრებას გამოიწვევს და რაც ეჭვქვეშ აყენებს პროექტის რენტაბელობას. ამასთან, ეს გააძლიერებს მოსკოვის მხრიდან აზერბაიჯანზე და საქართველოზე ზეწოლას, ვინაიდან რუსეთს „დერეფანი“ ამ ქვეყნების მოსკოვზე დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევის ბერკეტად მიაჩნია. ამის გამო, უახლოეს პერიოდში სავარაუდოდ, რუსეთი შეეცდება, გააკონტროლოს, ან რაღაც ფორმით ჩაერთოს სამხრეთ კავკასიაში დაგეგმილ პროექტებში. არ გამოვრიცხავთ რუსეთის დაინტერესებას საქართველოს ტერიტორიაზე მოზდოკი-სომხეთის საზღვრის მაგისტრალური გაზსადენისა და „სამხრეთკავკასიური გაზსადენის“ გადაკვეთაზე ინტერკონექტორის შექმნის ინიცირებას, ან „შაჰდენიზი 2-ის“ საბადოში, ან „სამხრეთკავკასიურ გაზსადენში“ წილის მოთხოვნას და ა.შ.**



**ზურაბ გარაყანიძე,**
**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

## აქტუალური ინტერვიუ

# გაფლანგული მილიონები და გადაუჭრელი პრობლემები

(მეექვსე გვერდიდან)

**— რაც შეეხება ფოთში მოშიმშილე დევნილებს, შვიდი დევნილი და ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი ლიდერი დარეჯან ცხვიტარია რამდენიმე დღეა, მერიის შენობის ფოიეში შიმშილობენ. ისინი ფოთში თქვენს ჩასვლას და მიმდინარე წლის აგვისტოში დევნილთათვის ბინების გაცემის საკითხის გამოძიებას ითხოვენ. როგორ ფიქრობთ, ეს აქცია არის პოლიტიკურად მართული და იმ გეგმის ნაწილი, რომელზეც ისაუბრა შს მინისტრმა?**

— რა თქმა უნდა, ნაციონალური მოძრაობა ცდილობს დესტაბილიზაციის ფონი შექმნას, მაგრამ ეს უსუსური მცდელობებია. მოშიმშილე დევნილებს არაერთხელ შეხვდნენ ჩემი მოადგილეები და აუხსნეს, რომ მათ ბინებით ეტაპობრივად დააკმაყოფილებენ, იმის მიხედვით, ვის რამდენი ქულა აქვს, და, შესაბამისად, ვის როდის მოუწევს რიგი. ამ ადამიანებმა კარგად იციან, რომ ისინი ამ ეტაპზე ვერ დაკმაყოფილდებიან, რადგან მაშინ სხვა, გაცილებით გაჭირვებული უნდა დაიჩაგროს, რასაც მე არ დავუშვებ.

რაც შეეხება ბინების გაცემის მართლზომიერების შესწავლას — თუ რაიმე ეჭვი ეპარებათ ან რაიმე ინფორმაცია აქვთ, მომაწოდონ ინფორმაცია და მზად ვარ, კიდევაც შევისწავლო და საჭიროების შემთხვევაში, გამოძიებაც ჩავრთო საქმეში. ეს ბინები ჩემამდე იყო დარიგებული, თუმცა, ამას მნიშვნელობა არა აქვს — შეცდომის დაშვება ყოველთვის არის შესაძლებელი.

ოღონდ, აქვე უნდა განვმარტო — თუ სადმე შეცდომა აღმოჩნდება, ის შეცდომა გასწორდება, მაგრამ ამ შემთხვევაში გამოთავისუფლებულ ბინას მიიღებს ყველაზე გაჭირვებული და არა ის, ვინც ყველაზე მეტს ყვირის.

**— არსებული პრობლემები აჩვენებს, რომ 21 წელი სამინისტროს პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია. მეტიც, ამ კუთხით წარმატებული არ იყო დავით დარახველიძეც, თუმცა, მან თქვენ გაგაკრიტიკათ, მუშაობის სტილი დაგიწუნათ სწორედ ფოთში მიმდინარე საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით. იღებთ შენიშნავს?**

— როგორც ჩანს, წუთიერ აღელვებას ჰქონდა ადგილი. სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, მოულოდნელი იყო. ჯერ ერთი, როცა ფოთში ბინების განაწილების მართლზომიერებას აპროტესტებდნენ, უნდა ითქვას, რომ ეს ბინები ჯერ კიდევ ბატონ დავით დარახველიძის დროს განაწილდა და იმედი მაქვს, სამართლიანადაც. მეორეც, წინასწარ რომ ჩვენთან დაერეკა, გაიგებდა, რომ ამ ადამიანებს არაერთხელ შეხვდნენ ჩემი მოადგილეები, რომლებიც მანამდე მისი მოადგილეები იყვნენ და არანაირი პრობლემა დევნილებთან კომუნიკაციისა არ არსებობდა. პრობლემა სხვაგანაა — ამ პრობლემას ნაციონალური მოძრაობის მიერ მართული პროცესი ჰქვია და ეს ბატონმა დავითმა ჩემზე უკეთ იცის.

**— რაც შეეხება წეროვანში ჩასახლებულ დევნილებს. ამ ადამიანებს გაუსაძლის მდგომარეობაში უხდებათ ცხოვრება. რამდენად მოგვარებადია იქ არსებული ვითარება?**

— მთელი ეს ჩასახლებები თბილისიდან ხაშურამდე, პრაქტიკულად, 5 წელიწადში მწყობრიდან გამოვიდა. იმიტომ, რომ უხარისხო მშენებლობები იყო, პრაქტიკულად, ჭაობზე ააშენეს ძალიან ბევრი დასახლება. ეს არის ნათელი მაგალითი, რომ ის დახარჯული ფულიც კი, რომელიც დევნილებს უნდა მოხმარეობდა, გაიფლანგა. ამის გამო, ხშირად, იმის ნაცვლად, რომ მომავალზე ვიფიქროთ, წარსულის შეცდომების გამოსწორებაზე გვიწევს უამრავი დროისა და ფინანსური რესურსის ხარჯვა.

**— რაც შეეხება ვაზიანში მშენებარე საცხოვრებელ კორპუსებს, ჩვენი ინფორმაციით, არ იბარებთ მშენებლობას, რა ხდება?**

— როდესაც აქ მოვედი, ვაზიანში 6 კორპუსის მშენებლობა მთავრდებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ 6 კორპუსს აშენებს სამი სხვადასხვა კომპანია, ერთ-ერთმა უკვე დაასრულა 2 კორპუსის მშენებლობა, ხარისხითაც კმაყოფილები ვართ და ჩავიბარეთ. კიდევ ორი კორპუსი შუა გზამდეა მიყვანილი და შემდეგ გაჩერებულია, მათ, ცხადია, ვერ მივიღებთ. კიდევ ორი კორპუსი კი, თითქოს, დამთავრებულია, მაგრამ ხარისხით სასტიკად უკმაყოფილონი ვართ და ამიტომ, სანამ ყველა ხარვეზი არ გამოსწორდება, ჩაბარებაზეც უარი ვთქვით. თუმცა, ამ შემოწმების პროცესში გაირკვა, რომ ეს ის კორპუსებია, სადაც „აგვისტოს 5 დღეს“ იღებდნენ, რის გამო აქ ხელოვნური ხანძრები იყო გაჩაღებული და სპეციალისტების აზრით, შენობის მდგრადობაც შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ შენობას მდგრადობაზეც ჩავუტაროთ ექსპერტიზა და არა მხოლოდ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.



ამავდროულად, აღმოჩნდა, რომ ამ კორპუსებს არ აქვთ არანაირი საკანალიზაციო სისტემა და გამოვაცხადეთ ტენდერი და ესეც სწრაფი ტემპით უნდა გავაკეთოთ.

**— ამ კუთხით სხვა სამინისტროებთან თუ თანამშრომლობთ?**

— ბუნებრივია. მაგალითად, სოფლის მეურნეობის სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას, რომ ყველა ჩვენს პროექტს, რომლის განხორციელებას დავიწყებთ სოფელში, მაქსიმალურად მოარგებს თავის პროგრამებს. ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები დევნილებისთვის ნამდვილად არ აკეთებენ იმაზე ნაკლებს, რასაც ჩვენი სამინისტრო. ვმუშაობთ, რომ ცალკეული პროექტებიც — მაგალითად „აწარმოე საქართველოში“ და სხვა მსგავსი პროგრამები მაქსიმალურად მოვარგოთ დევნილთა საჭიროებებს. რაც მთავარია, ეს მხარდაჭერა და თანამშრომლობა იმის შედეგია, რომ თითოეულ მინისტრს, მთელ მთავრობას და პირადად პრემიერ-მინისტრს, ნათლად აქვთ წარმოდგენილი, რამდენად მნიშვნელოვანია დევნილებისთვის ღირსეული პირობების შექმნა და მათი პრობლემების სწრაფი დაძლევა.

ასევე ძალიან აქტიურად ვთანამშრომლობთ თბილისის მერიასთან და თბილისის რაიონების გამგებლებთან, მაჟორიტარ დეპუტატებთან, გუბერნატორებთან, რაიონის გამგეობებთან. ისინი ხშირად თავის თავზე იღებენ იმ პრობლემების გადაწყვეტას, რომლებიც მათ ტერიტორიაზეა — ხან მთლიანად, ხან წილობრივად ვინაწილებთ და ისე ვაგვარებთ საქმეებს. ასე რომ, დევნილთა სამინისტროს მომავალი წლის ბიუჯეტი, რომელიც სავარაუდოდ 65 მილიონი ლარი იქნება, სინამდვილეში გაცილებით დიდია ამ თანამშრომლობის გამო.

**თამთა ქარჩავა**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

**ობიექტი № 1**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწყობა, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) უნდა განხორციელდეს ობიექტის (ქა) მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ზესტაფონის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია – P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 1000 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ზესტაფონის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 31 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 206 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 30 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 2**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწყობა, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ზესტაფონის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია – P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 730 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ზესტაფონის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 24 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 205 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 30 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 3**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |

| | | |
|---|---|---|
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ინერტული მასალის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. გომის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე, „მეტეხი II"-ის ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 30 900 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. გომის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 5 023 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 502,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 205 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 30 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 27**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>ბ) წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჯიღაურის მიმდებარე ტერიტორია, „თეზამის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია -P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 62 400 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჯიღაურის მიმდებარე ტერიტორია. |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 9 498 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 949,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 100 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 30 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 28**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. შინდისის მიმდებარე ტერიტორია, მდ. დიდი ლიახვის (ორი უბანი) ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 60 900 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. შინდისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 8 693 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 869,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 939 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 30 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 4 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 29**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტზე ქვიშის მოპოვება უნდა მოხდეს „ძიჩამჭრელი" ტექნიკის საშუალებით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" |

| | | |
|---|---|---|
| | | საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვიშანჭალას მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონზე „საკავახო-ქვიშანჭალას" ქვიშის საბადო (კატეგორია – A+B+$C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 849 300 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვიშანჭალას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 113 879 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 11 387,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 22 976 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 30 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 30**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფახულანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ენგურზე „ენგურის" ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია – $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 269 100 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფახულანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 36 083 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3 608,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 7 417 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 30 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 31**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს სამთო საქმისათვის მიღებული წესებისა და ნორმების დაცვით;<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2014 წლის 25 აგვისტოს №2-03/5663 წერილით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. საწისქვილოს მიმდებარე ტერიტორია, „საწისქვილოს" კირქვის (ღორღი) გამოვლინება (კატეგორია – P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე) - 48 300 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. საწისქვილოს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 30 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 32**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს ინვესტორის პოტენციური „ძეგვი" ჰესის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და მშენებლობის პერიოდში, ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძეგვის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. მტკვარზე „ძეგვის" ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია – $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 29 700 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძეგვის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 521 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 452,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 104 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 30 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 30 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

ჭადრაკი

# ჯობავამ ყველას აჯობა



**ქართველი დიდოსტატი, ევროპის ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი ბაადურ ჯობავა ლოოში (კრასნოდარის მხარე) გამართულ ცნობილი რუსი მოჭადრაკის — ვიტალი ცეშკოვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილ დიდ საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 300.000 რუსული რუბლი) მონაწილეობდა.** პირველობისთვის სხვადასხვა ქვეყნის 124 წარმომადგენელი იბრძოდა, მათ შორის — 34 დიდოსტატი. ჩვენებურმა შესანიშნავად იასპარეზა — 9 შესაძლებლიდან 7.5 ქულა მოაგროვა და მთავარი პრიზი — 50.000 რუბლი დაიმსახურა. 6.5-6.5 ქულით მეორე-მეექვსე ადგილებზე მიხაილ პანარინი, ივან ბუკავშინი, მიხაილ დემიდოვი, პაველ კოცური და იან ელვესტი გავიდნენ.

**ლაშა დიდია**

მხატვრული ტანვარჯიში

# შვიდი საფეხურით წინ წაიწია

**ბოლო წლებში საერთაშორისო სარბიელზე წარმატებით ასპარეზობს თბილისელი მხატვრული ტანმოვარჯიშე სალომე ფაჟავა (მწვრთნელები — ელისო ბედოშვილი და ლალი დოლიძე): შარშან მან ევროპის ჩემპიონატზე საუკეთესო ოცეულში დაიმკვიდრა ადგილი და, რაც მთავარია, 2015 წლის ევროპის პირველი ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საგზური მოიპოვა, მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ფინალში მე-20 ადგილი დაიკავა.** ამ დღეებში სალომე თურქულ იზმირში მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე მრავალჭიდში 49.949 ქულით მე-13 ადგილზე გავიდა და ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა. გადამწყვეტი პაექრობები გასულ უქმეებზე გაიმართა. ჩვენებურმა 67.182 ქულით მე-13 ადგილი (რგოლით-16.933, ბურთით-16.966, გურზებით-17.133, ლენტით-16.150) შეინარჩუნა და შარშანდელთან შედარებით შვიდი საფეხურით წინ წაიწია. ქართველი ტანმოვარჯიშე გაისად სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატშიც პირველ ოცეულში თუ მოხვდება, რიოს 2016 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურსაც დაისაკუთრებს.




იზმირში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული 75.266 ქულით რუს ანა კუდრიავცევას (რგოლი-19.000, ბურთი-18.800, გურზები-18.916, ლენტი-18.550) ხვდა. „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“, შესაბამისად, მარგალიტა მამუნმა (რუსეთი, 74.149) და განა რიზატდინოვამ (უკრაინა, 72.449) გაინაწილეს.

**გივი გაგუა**

რაგბი

# არადა, რა ახლოს იყო ჯგუფური ეტაპი

**2014-2015 წლების „ჩელენჯ ქაფის“ საკვალიფიკაციო რაუნდი**

**პლეი ოფის განმეორებითი მატჩი. 27 სექტემბერი.**

**თბილისი. „მიხეილ მესხი“. 7 000 მაყურებელი**

**„თბილისის კავკასიელები“ (საქართველო) — „როვიგო“ (იტალია) 21:24 (7:15)**

**„თბილისის კავკასიელები“:** ირაკლი ყიასაშვილი (თემურ სოხაძე), ბექა წიკლაური (გიორგი ფრუიძე), ალექსანდრე თოდუა, გიორგი აფციაური, გიორგი შკინინი, ლაშა ხმალაძე (კაპ.), გიორგი ბეგაძე (გიორგი კაჭარავა), ბაჩანა გოგიშვილი, ბადრი ალხაზაშვილი (ირაკლი ჩომახაშვილი), დავით გურგენაძე (გიორგი სანიკიძე), ბექა ბიწაძე, მიხეილ არჩუაშვილი, გიორგი თხილაიშვილი (გიორგი მჭედლიშვილი), ელგუჯა სურგულაძე (ბაჩანა კოლელიშვილი), ზვიად მაისურაძე (გიორგი სანიკიძე, სანდრო ქოიავა), მთავარი მწვრთნელი ლევან მაისაშვილი.



**„როვიგო“:** სტეფან ბასონი, ბილი ნგავინი, დენის მაისტოროვიჩი, ფრანჩესკო მენონი, სტივენ ბორტოლუჩი, ლუჩანო როდრიგესი, ჯორჯო ბრონძინი (მარკო ფრატი), ნიკოლა კვალიო (გილერმო გაჟიონი), ენრიკო ჩეკატო (ლუქ მაქონი), მასიმილიანო რავალე (გილერმო როანი), ჯუზეპე ბოჯანი, ჟან-ფრანსუა მონტაური, ემილიანო კაფინი (გილერმო როანი), ანდრეა დე მარკი, მატეო ფერო (კაპ.) ლორენცო ლუბიანი). მატეო მარანი, ედუარდო ლუბიანი, დავიდე ფაროლინი, მწვრთნელები: ფილიპო ფრატი, ანდრეა დე როსი.

„ჩელენჯ ქაფის“ საკვალიფიკაციო რაუნდის პირველი მატჩი იტალიაში „თბილისის კავკასიელებმა“ ოთხქულიანი სხვაობით დათმო და განმეორებითი პაექრობის წინ ჯგუფურ ეტაპზე გასვლის შანსი შეინარჩუნა. აპენინურმა ორთაბრძოლამ გვიჩვენა, რომ საქართველოს ჩემპიონატის კლუბების ნაკრები „როვიგო დელტას“ ბევრი არაფრით ჩამოუვარდებოდა, თუმცა ჩვენმა მორაგბეებმა ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს, შინ მეტოქეზე მეტი შეცდომა დაუშვეს და მეორედაც დამარცხდნენ, რაც უფრო შეუთამაშებლობისა და გამოუცდელობის ბრალი გვგონია.

„მიხეილ მესხზე“ პაექრობა იტალიელთა იერიშებით დაიწყო. მართალია, მათ პირველსავე წუთზე ჯარიმით ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს, მაგრამ მალევე მორიგი შეტევისას ლელო (ნგავინი) გაგვიტანეს, თუმცა ბასონიმ ვერ გარდასახა. ოთხიოდე წუთში ქართველთა კონტრშეტევა გოგიშვილის ლელოთი დასრულდა, წიკლაურმა ზუსტად გარდასახა და მასპინძლები 7:5 დაწინაურდნენ. ამის შემდეგ უპირატესობა მთლიანად სტუმართა მხარეს იყო და შესვენებამდე ისინი წინაც გავიდნენ — 15:7.

მეორე ტაიმში მატჩის სადავეები „თბილისის კავკასიელებმა“ იგდო ხელთ, თუმცა იტალიელები კარგად იცავდნენ თავს. მასპინძლებს „ჩელენჯ ქაფის“ ჯგუფურ ეტაპზე გასვლის შანსი კიდევ ერთხელ გაუჩნდათ მას შემდეგ, რაც 79-ე წუთზე ხმალაძემ ჯერ ლელო გაიტანა, შემდეგ ზუსტად გარდასახა და წონასწორობა აღადგინა — 21:21. სამწუხაროდ, ბოლო იერიშისას ჩვენებს 22-ში ბურთი წინ დაუვარდათ, რომელიც ბასონის მიუვიდა, ამ უკანასკნელმა კი 27 მეტრიდან არეკნით სტუმრებს გამარჯვების ქულები მოუტანა — 24:21 და „როვიგო“ ჯგუფურ ეტაპზე გავიდა.

**ლექსო ცინცაძე**

კალათბურთი

# „ბათუმი“ მე-2 ამერიკელით გაძლიერდა

**საკალათბურთო კლუბმა „ბათუმმა“ კიდევ ერთი ამერიკელი ლეგიონერი შეიმატა. შეგახსენებთ, რომ ზღვისპირელებმა თავდაპირველად 23 წლის ცენტრი კრის პელჩერი გადაიბირეს, ახლა კი კონტრაქტი 23 წლისვე ფორვარდ ზაკ მაკკაბის (სიმაღლე 201 სმ.) გაუფორმეს.**




ეს უკანასკნელი წინა სეზონში „აიოვას“ წევრი გახლდათ და 33 მატჩში საშუალოდ 6 ქულას, 3 მოხსნას და 1 პასს აგროვებდა. ისიც ვთქვათ, რომ კოლეჯების კლუბების კვალად, მაკკაბი პროფესიონალურ დონეზე პირველად ითამაშებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

მწვრთნელი

# მოურინიოს 250-ე



**ლონდონის „ჩელსის“ მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ პრემიერლიგის მე-6 ტურის მოგებულ მატჩში „ასტონ ვილას“ წინააღმდეგ (3:0) „არისტოკრატებს“ 250-ჯერ უთავკაცა.**

პორტუგალიელმა სპეციალისტმა „ჩელსის“ 250 შეხვედრიდან 165-ში გაამარჯვებინა, 52 მატჩი ფრედ დასრულდა, ხოლო „არისტოკრატებმა“ მისი თავკაცობით 33 დაპირისპირებაში მარცხი იწვნიეს.

250 მატჩში ჟოზე მოურინიოს გუნდმა 452 გოლი გაიტანა და 171 საკუთარ კარში მიიღო.

**გიორგი შოთაძე.**

ფაქტი

# „ბაიერნს“ სიმშვიდე დაურღვიეს

**მიუნხენის „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩს დღეს ცსკა-ს წინააღმდეგ გამართავს. „რეკორდმაისტერები“ უკვე მოსკოვში არიან, თუმცა გასული ღამე მათთვის მშვიდი არ ყოფილა.**

სასტუმროში, სადაც გერმანულმა კლუბმა ბინა დაიდო, უცებ სახანძრო განგაშის ხმა გაისმა და სასტუმროს დაცვამ მთლიანად კლუბის ევაკუაცია მოახდინა. მიუნხენელები ჯერ გარეთ იდგნენ, შემდეგ კი უახლოეს რესტორანში დაელოდნენ ვითარების გარკვევას.



სასტუმროში საგანგაშო არაფერი ყოფილა და ერთსაათიანი ლოდინის შემდეგ მიუნხენელები საკუთარ ოთახებს დაუბრუნდნენ. კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ფეხბურთელებს ძილისთვის დამატებით ერთი საათი მიეცათ.

**კობა კობახიძე**

ინტერნეტიდან

# ოლუჩი ონვეაგბა – აფრიკული პანტერა

**ნიგერიელი მოდელი ოლუჩი ონვეაგბა ისეთი ლამაზი გოგოა და ისეთ ჯიშიან ფეხებზედაც სდგას, რომ მისი დამნახავი კაცი აუცილებლად გულში დარდიანად მჯიღს ჩაიცემს და რაიმე ისეთ დამთუთქველსა და სულის დასაწიწკნს იტყვის, რომ მის მსმენელს გული და ჯიგარი ერთად დაეწვება.**



ოლუჩი ონვეაგბა უკვე შვიდი წელია, რაც ევროპაში ცხოვრობს და მოღვაწეობს და მისი პოპულარობა ჩვენი პლანეტის ოთხივ კუთხით ქუხს და ზანზარებს. ამ ქალის ეშხით დამწვარი შავტუხა თუ გაქუცული ბიჭ-ბუჭობა სიყვარულის კაეშნის გაქარვებას ნილოსისა თუ დუნაის ტალღებით ცდილობს.

ჰოდა, იმას აღარ იკითხავთ, თვითონ ოლუჩის ვინ მოსწონს? ვინა და ეს ჩვენი გადარეული მარიო ბალოტელი ჩავარდნია გულში და იძახის — მარიო თუ მოინდომებს, თანახმა ვარ ისე გადამიაროს და გადამასწოროს, როგორც უდაბნოს ქარიშხალი თელავს აფრიკის ველებსაო. მაინც რა ბედი აქვს ამ ოხერ ბალოტელის — თეთრია თუ შავია, ყველა ლამაზმანი სულ მაგას ეტრფის...

**როსტომ რაჭველიშვილი**

ვულოცავთ ჯანსუღ ჩარკვიანს!

# სულში „სიცილნათელების“ შემოფრენა ხარ!



იმ დღეს ერთ-ერთი ცნობილი გაზეთის მიერ გამოცემულ კედლის კალენდარს ვათვალიერებდი და, აგერ, რა გასაკვირია, ჩვენი სახალხო პოეტის ჯანსუღ ჩარკვიანის ფოტოც ვნახე დაბეჭდილი. ქვემოთ მინაწერია: 1930 წლის 30 სექტემბერს დაიბადა ჯანსუღ ჩარკვიანი (დაბადების 83 წლისთავი). არა, ბატონებო, აქ დაბადების წელი შეცდომითაა დაბეჭდილი, 1931 უნდა იყოს, რადგან ვიცი, რომ 83 წელი უსრულდება ბატონ ჯანსუღს. ისე, კარგ დროს კი გამახსენა ჩვენი უფროსი მეგობრის დაბადების დღე კალენდარმა, მოდი, დავურეკავ.

რა თქმა უნდა, გულიანად მესალმება ბატონი ჯანსუღი. ვუყვები კალენდრის შეცდომის შესახებ.

— მტრები მყავს ბატონო, მტრები!.. ძალით მაბერებენ, მაგრამ არ დავბერდები!

— ეტყობა, „ჯოხოსანთა“ პარტიის წევრი რომ გახდი, ის გაიგეს... „კოიაც“ (თანატოლზე და ახლო მეგობარზე გურამ გომართელზე ვეუბნები) თქვენი პარტიის წევრია, არა?!

— მაშ... თანაც აქტიური წევრი... რამდენიმე თვითაა ჩემზე უფროსი, 31-იანები ვართ, კაცო!..

— ბატონო ჯანსუღ, სიბერეს მოუკვდა მომგონი... მიხარია, რომ ისევ გემრიელი ხუმრობა-სიცილის ხასიათზე ხართ... მე, პირადად, ძალიან მომწონს თქვენი სხარტი „სიცილნათელები“ თქვენივე გაზეთ „ქართულ სიტყვაში“ რომ იბეჭდება. მოდით, დაწერეთ ჩვენი გაზეთისთვისაც და, რაც იქნება, იქნება, ასე აღვნიშნოთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ თქვენი დაბადების 83 წლისთავი!.. მოსულა?!..

— მოგიკვდეს ჩემი თავი, ხვალისთვის გამოგიგზავნით!

— ველოდებით!

მეორე დღეს, ჯანსუღ ჩარკვიანმა მართლაც გამოგვიგზავნა გაზეთის თანამშრომლის ხელით „სიცილნათელები“.

მაშ, გავეცნოთ:

### როდის...

დღეს სიცოცხლე არც მინდება,
თვალთგან ცრემლი მომდის,
საქართველო გაბრწყინდება,
მაგრამ, მითხარ, როდის?

### მიშას ტანსაცმელი

შენგან, ბიჭო, კარგს არ ველი,
მტრის გარმონზე უკრავ,
მეორადი ტანსაცმელი,
შეიტენე უკან!

### ვინ არის?

მამა არ ჰყავს
დედამოკლულ ვირიშვილს,
ჰიტლერსა ჰგავს
სიცილშიც და ღიმილშიც.

### ტვინი

ამ ქარივით მისდევ ამქარს,
ეტრფი „ნაცთა“ ნაგავს,
მე იმ ტვინში ჩამახედა,
რომელიც შენ არ გაქვს!

* * *

დღეს ჯანსუღის დაბადების დღეა. ვუსურვოთ ქართველი ხალხის საყვარელ პოეტს ჯანმრთელობა, სამშობლოს უკეთესი დღეების შესწრება და დიდხანს ასეთი ენამოსწრებულობა!

ვილენ მარდალეიშვილი

◎ კულტურა

# მუსიკის საერთაშორისო ფესტივალს თელავი უმასპინძლებს

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, თელავში 11-18 ოქტომბერს მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება.

მუსიკის საერთაშორისო ფესტივალს, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი გამოჩენილი ქართველი პიანისტი ელისო ვირსალაძეა, 2014 წელს დაარსებიდან — 30, ხოლო აღდგენიდან 5 წელი უსრულდება. ფესტივალი წელსაც, ტრადიციულად, თელავში სხვადასხვა თაობის მსოფლიო რანგის მუსიკოსს უმასპინძლებს.

გამოჩენილი ქართველი პიანისტის — ელისო ვირსალაძის მიერ 80-იან წლებში დაარსებულ ფესტივალს სახელწოდებით, „ქება ვაზისა“, ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მონაწილეთა შემადგენლობით, მასშტაბურობით და ფორმატით ანალოგი არ ჰყავდა. 2010 წელს, 20-წლიანი პაუზის შემდეგ ტრადიცია აღდგა — თელავს ლეგენდარული ფესტივალი კვლავ დაუბრუნდა და მას შემდეგ ყოველწლიურად, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება.

2014 წლის ფესტივალის ფარგლებში, თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატულ თეატრში 5 კონცერტი გაიმართება, მათგან — სამი საერთაშორისო საფესტივალო ორკესტრის თანხლებით. ორკესტრი საგანგებოდ ფესტივალისთვის დაკომპლექტდა და მასში უკრავენ მაღალპროფესიონალი მუსიკოსები საქართველოდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, პოლონეთიდან და შვეიცარიიდან. ორკესტრს წარუძღვება ცნობილი დირიჟორი არიელ ცუკერმანი.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, 2014 წლის ფესტივალი გამოირჩევა სოლისტების განსაკუთრებული შემადგენლობით — ელისო ვირსალაძე, ლიანა ისაკაძე, კოლია ბლაჰერი, ნელსონ გოერნერი, ალექსანდრ ბუზლოვი, ნატალია გუტმანი, ედუარდ ბრუნერი, გრიგორი კროტენკო.

ინტერპრესი




◎ კაკალ გულში

# წერილოვანი თვრაზები

● მითხარი რამდენი გაქვს კრედიტი ქართუ ბანკში და გეტყვი, რამდენი ხანი იქნები მინისტრი (კაკ მნიმუმ მოადგილე!).

ძველი რომაული გამონათქვამი.

● გაზქურის ყიდვა მინდოდა განვადებით, მაგრამ სანამ მინისტრის მოადგილე არ გახდები, არაო.

● ის მედლები არ მომიპარავს, სანდრამ იყიდა სუხოი მოსტზე და გამომიგზავნაო — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

● საგარეო საქმეთა სამინისტრო (თურმე), უფრთხილდება რა საგარეო ურთიერთობებს (თურმე), სარეკრეაციო ზონაში, წყნეთის გზაზე, გერმანული სკოლის აშენების ნებართვას გასცემს (თურმე) (?!)

ეს რაღას ნიშნავს, სიდარბაისლით, სიძლიერით სახელგანთქმულნო, კეთილშობილნო?!

● ეგ რისი ბრალია იცით? მთელ მსოფლიოში სახალხო მღელვარების დროს, რომ პირველ რიგში ბანკებს არბევენ და ჩვენთან ფოთოლი არ ვარდება, იმის!

● მე არ მომისმენია და დავიჯერო ასეთი კარგი გამოსვლა ჰქონდა ღარიბაშვილს ნიუ-იორკში, რომ ეს ნეხვის ჭიები გაყურსულები არიან?!

● ის, რაც ამერიკაში ირაკლი ღარიბაშვილთან მიმართებაში განხორციელდა დესტრუქციული ძალების ძალისხმევით, არა მხოლოდ პროვოკაცია,არამედ სისხლის სამართლის დანაშაულია! იმედს ვიტოვებ, რომ სამშობლოში დაბრუნებული პრემიერი ადეკვატურ ზომებს მიიღებს. ეს არ არის კონკრეტული პირის შეურაცხყოფა — ეს ქვეყნის თავზე დასხმული ლაფია!

● ოთხი წამყვანი ტელევიზია, აღმასრულებელ ხელისუფლებაში, პოლიციაში, ჯარში, პროკურატურაში 60% შენიანები, 27 000 მეგიზფიქჩერზის ფირები, სასამართლოები სრულად შენი და — არანაირი შანსი ხელისუფლებაში მოსვლის! მხოლოდ თითქმის 10%-იანი რეიტინგი. თუ ხვდები რა ბანძი ხარ, მიხო და რა დურაკები გახვევია გარშემო? ამხელა რესურსებით პადოშა აიღებდა ძალაუფლებას! იდიოტის გარდა, ვინ მოახერხებდა, ასე შეეზიზღებინა თავი საკუთარი ერისათვის?

● არც ერთი ნორმალური ბანკი არ გასცემს იპოთეკურ სესხს იმ ოდენობით, რომლის თვიური მომსახურების თანხა ოჯახის თვიური შემოსავლის 30%-ზე მეტ იქნება.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ვაიმე, ენავ!

რუბრიკას უძღვება
მურმან თავდიშვილი

# სარეკლამო ქართული

**სატელევიზიო არხების სარეკლამო ქართულიც ისეთსავე დღეშია, როგორშიც დღევანდელი სამეტყველო ენა. აქაც შეცდომა „გვაქვს უთვალავის ფერითა“.**

**დავიწყოთ ჩვენი „იმედით“.**

**„ეს შეიძლება მისი დაა“** (23 სექტემბერი, $20^{00}$).

უნდა ყოფილიყო ამგვარად: **„ეს, შეიძლება, მისი და იყოს“.**

**„მიიღეთ მოგება ლარებში“** კი ასე უნდა გასწორდეს: **„მიიღეთ მოგება ლარობით“.** არადა ამ შეცდომამ სრულიად საქართველო მოიცვა.

**„მათ კუთვნილებაში მყოფი ვერტმფრენები“** შეიცავს „პარაზიტ“ სიტყვას **„მყოფი“.** წინადადება ასე ჩამოყალიბდება: **„მათი კუთვნილი ვერტმფრენები“.**

**„დედიკო საუკეთესო ბუტერბროდებს აკეთებს“.** აქ მოუწონარია **„აკეთებს“.**

ქართველი არასოდეს იტყვის: **„მჭადს ვაკეთებ, პურს ვაკეთებ...** სამაგიერდ ბუნებრივია ასეთი თქმა: **მჭადს ვაცხობ, პურს ვაცხობ, პურმარილს ვამზადებ...**



მაშ, არა **„ბუტერბროდებს აკეთებს“,** — არმედ **„ამზადებს“.**

გაიჟღერა ფრაზამ: **„მნიშვნლოვნად შეამცირეთ საპროცენტო განაკვეთი“.** აქ არ მოგვწონს „მნიშვენლოვნად“. უფრო ბუნებრივია **„საგრძნობლად“. „მნიშვნელოვანი“** უფრო მაღალი რანგის ეპითეტია!

არც ასეთი რამ გახლავთ მოსაწონი — **„იყავით ფორმაში“!** ხალასი ქართულია: „შეინარჩუნეთ ფორმა!“

რა თქმა უნდა, აშკარა შეცდომაა **„მენაბდეს გამოფენა“** (25, $14^{00}$). უნდა ყოფილიყო **„მენაბდის გამოფენა“.** „ე“ ხმოვანფუძიანი სახელები იკვეცება: **მენაბდე მენაბდის.**

მსგავს შეცდომებს იმეორებს იმათი **„რუსთავი-2“.**

ერთ-ერთ რეკლამაში მოგვიწოდებენ: **„მიიღე შეუზღუდავი კომუნიკაცია** (23, $9^{00}$). სინამდვილეში **„მიიღე“** არადსაღირალია. უნდა ეხმარათ სიტყვა **„დაამყარე“.**

მაშ, ასე: **„დაამყარე შეუზღუდავი კომუნიკაცია!“**

სხვა შეცდომა ასეთია: **„სიტყვები ვერ აღწერს“.** აქ ქვემდებარედ გამოყვანილია **„სიტყვები“.** არადა ქვემდებარე უნდა იყოს ადამიანი.

მაშ, სწორია: **„სიტყვებით ვერ აღწერ“.** აქ ქვემდებარეა ნაგულისხმევი **„შენ“.**

კიდევ უფრო მიუტევებელია ამგვარი აბსურდი: **„ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობა ვნებს ჯანმრთელობას“.** აქ „პარაზიტი“ სიტყვაა **„რაოდენობა“.** თუ მას შევეშვებით, მივიღებთ მართებულ წინადადებას: **„ჭარბი ალკოჰოლი ვნებს ჯანმრთელობას“.**

მაშ, **„რაოდენობა“** კი არ ვნებს ჯანმრთელობას, არამედ — **ჭარბი ალკოჰოლი!**

არცთუ მთლად მისაღებია **„ნამდვილი ხილის გემო“.** უმჯობესია **„ხილის ნამდვილი გემო“.**

მცდარია სარეკლამო ფრაზა: **„ჩვენ ვაშენებთ გერმანულ ხარისხს“.**

ხარისხს არ აშენებენ. უნდა: **„ჩვენ ვიცავთ გერმანულ ხარისხს“; „ჩვენ ვაღწევთ გერმანულ ხარისხს“.**

ასევე უზუსტო და ჩიქორთულია დევიზი: **„ფარმადეპო — უკეთესი ცხოვრებისათვის“** (ელიპსი გულისხმობს სიტყვას „ზრუნავს“).

უნდა იყოს ამგვარად: **„ფარმადეპო ზრუნავს უკეთეს ცხოვრებაზე“;** კიდევ უფრო ზუსტი იქნებოდა ამგვარად: **„ფარმადეპო ზრუნავს უკეთესი ცხოვრების დამკვიდრებაზე“.**

არც თანდებულთა უხეში ტავტოლოგია არის მოსაწონი: **„გოგონებისთვის და ბიჭებისთვის“** (25, 14, 30).

სიტყვა „არჩევანი“ კუმშვადია. ამიტომ უსწოროა ასეთი სარეკლამო განაცხადი: **„არჩევანის გაკეთება“** (25, $15^{00}$). უნდა ყოფილიყო **„არჩევნის გაკეთება“.**

არ გადავაჭარბებ, თუ დავძენთ: ზუსტად იგივე ვითარებაა სხვა არხებზეც.

აუცილებელია, ყურადღება მიექცეს სარეკლამო ენას, ვინაიდან ეს ფრაზები თუ წარწერები მრავალჯერ მეორდება და მსმენელ-მაყურებლის მეხსიერებაში მყარად მკვიდრდება.

# დასავლეთში სტიქია არ ცხრება

**საქართველოს** პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დასავლეთ საქართველოში სტიქიის შედეგად შექმნილი ვითარებით დაინტერესდა და მინისტრთა კაბინეტის წევრებისგან მოისმინა ინფორმაცია ზარალის მასშტაბების შესახებ.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის გიორგი კობერიძის განცხადებით, პრემიერის დავალებით დასავლეთ საქართველოში შექმნილი საგანგებო შტაბი 24-საათიან რეჟიმში მუშაობს. შტაბის მუშაობას კოორდინაციას უწევს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი მინდია ჯანელიძე. სტიქიის ზონაში ვითარების ადგილზე გასაცნობად იმყოფებიან მინისტრთა კაბინეტის წევრები.



დასავლეთ საქართველოში სტიქიასთან ბრძოლის მიზნით შექმნილი საგანგებო შტაბი, რომელსაც სახელმწიფო უსაფრთხოების და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი მინდია ჯანელიძე ხელმძღვანელობს 24-საათიან რეჟიმში მუშაობას აგრძელებს.

დასავლეთ საქართველოში სტიქიის შედეგად წარმოიქმნა საკმაოდ ბევრი კერა, რომლებზედაც ხორციელდება მყისიერი და კოორდინირებული რეაგირება. სტიქიის გავრცელების ადგილებზე სრულად არიან მობილიზებული როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები. გურიაში, აჭარასა და სამეგრელოში ოპერატიულ რეჟიმში და კოორდინირებულად მოქმედებენ ადგილობრივი შტაბები. სტიქიის ზონებში მობილიზებულია სამაშველო სამსახურები და შესაბამისი ტექნიკა.

დასავლეთ საქართველოში ნარჩუნდება უხვი ნალექი და ძლიერი ქარი. შექმნილი ვითარება სრულად ექვემდებარება კონტროლს. მიღებულია ყველა ზომა მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამასთან, კიდევ ერთხელ მოუწოდებენ მოსახლეობას, მაქსიმალურად მოერიდონ სანაპირო ზოლსა და მდინარეების სიახლოვეს გადაადგილებას.

* * *

**ძლიერი** წვიმის შედეგად სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში 5 ოჯახი დაიტბორა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსის„ ჟურნალისტი სტიქიის ადგილიდან იტყობინება.



უხვმა ნალექმა სოფელში მცირე მდინარეების ადიდება გამოიწვია, რის შედეგაც წყალი საცხოვრებელ სახლებში შევიდა.

* * *

**ბათუმში**, ძლიერი ქარის გამო, ჯაფარიძის ქუჩაზე მშენებარე ობიექტის კედელი ჩამოინგრა და გვერდით არსებული სახლის კიბე დააზიანა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

შავი ზღვის აჭარის სანაპიროებზე 4-ბალიანი შტორმი დაფიქსირდა. ძლიერი წვიმის შედეგად, მდინარე ჩაქვის წყალი კალაპოტიდან გადმოვიდა, რის გამოც ბათუმი ქობულეთის ცენტრალური გზის ჩაქვის მონაკვეთზე მოძრაობა მცირე ხნით შეფერხებული იყო.

* * *

**ძლიერი** წვიმის შედეგად გურიაში ათეულობით სახლი დაიტბორა. დატბორილია სახლები ჩოხატაურში, ოზურგეთსა და ლანჩხუთში.

სოფელ ნატანებში იმყოფება. სავარაუდოდ, ერთ-ერთ უბანში წყალმა ხიდი წაიღო. გურიის რამდენიმე სოფელში ხიდები დაზიანდა.

წყალდიდობის გამო, გადაკეტილია ოზურგეთის მთავარი შესასვლელი.

* * *

**ოზურგეთის** მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით შავლიაშვილი და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ზურა კოპაძე იმყოფებოდნენ. ხელისუფლების წარმომადგენლები სტიქიის შედეგად მიყენებულ ზარალს ეცნობიან.



სოფელ შემოქმედში მდინარე აკიშა ადიდა და 14 ოჯახი ცენტრალურ გზას მოწყვიტა. სოფელში დატბორილია კიდევ სამი საცხოვრებელი სახლი.

* * *

**ქობულეთის** მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავში ჩამოწოლილი მეწყერის შედეგად რამდენიმე ოჯახი გარესამყაროს მოწყვეტილია.

საგანგებო შტაბი ოპერატიულად რეაგირებს ყველა შემთხვევაზე. უამინდობის შედეგად არ დატბორილა ბათუმის ქუჩები.

„ამჯერად ოთხი მიმართულებით ველოდებოდით სიტუაციის გამწვავებას. შეიძლებოდა ყოფილიყო ძლიერი შტორმი, რასაც ნგრევა და ზარალი შეიძლებოდა მოყოლოდა. წყალდიდობებს ველოდებოდით, მდინარეების ადიდებას, ამ მხრივ გვაქვს ერთი შემთხვევა ქედის რაიონში ადიდდა მდინარე და რამდენიმე ოჯახს მიაყენა ზიანი, ადიდებულმა მდინარემ საკარმიდამო ნაკვეთები წაიღო. ასევე, დატბორვებს ველოდებოდით ქალაქის ტერიტორიებზე. საბედნიეროდ არ არის ქალაქის ტერიტორია დატბორილი. ველოდებოდით ასევე, მეწყრული პროცესების განვითარებას, ამ მხრივ ქობულეთი გამოირჩევა.“ — აღნიშნა აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნუგზარ სურმანიძემ.

## ალიანჩალიანი

# მსოფლიოში ცოფით ყოველწლიურად დაახლოებით 60 000 ადამიანი იღუპება

**ამის** შესახებ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის დირექტორმა ამირან გამყრელიძემ ჯანდაცვის სამინისტროსა და სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მათი ინფორმაციით, 28 სექტემბერს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ცოფთან ბრძოლის მსოფლიო დღეს აღნიშნავს. პრესკონფერენციაზე ცხოველების აცრის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

როგორც ამირან გამყრელიძემ აღნიშნა, ცოფი ცხოველიდან ადამიანზე გადადის და მას სამწუხაროდ, 100 %-იანი სიკვდილიანობა აქვს. მისივე თქმით, ყველა შინაური ცხოველი აცრილი უნდა იყოს. დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორმა აღნიშნა, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველოში პროგრესი შეიმჩნევა და ცოფით გარდაცვლილთა რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება, თუმცა მისივე თქმით, არც ერთი შემთხვევა არ უნდა ფიქსირდებოდეს.

ამირან გამყრელიძის ინფორმაციით, ცოფი პროფილაქტიკურ აცრას ექვემდებარება, მისივე თქმით, ყველა დაკბენილმა ადამიანმა ანტირაბიულ კაბინეტს უნდა მიმართოს. დროული აცრა თითქმის 100 %-იან გარანტიას იძლევა, რომ ცოფი აღარ განვითარდება.

ცოფით გარდაცვლილი ადამიანების 95% აზიასა და აფრიკის მოსახლეობაზე მოდის. დაავადების შემთხვევები მსოფლიოს 150-ზე მეტ ქვეყანაში ფიქსირდება. საქართველოში ცოფით 2013 წელს ოთხი, წელს კი ორი ადამიანი გარდაიცვალა.

# ჩაქვში ავარიას 25 წლის ახალგაზრდა ემსხვერპლა

**ჩაქვის** ცენტრში ავარიის შედეგად 25 წლის მამაკაცი გარდაიცვალა. სამაშველო სამსახურის ინფორმაციით, „მერსედესის“ მარკის მსუბუქი მანქანა ჩაქვში ბორდიულს შეეჯახა, რის შედეგადაც 1989 წელს დაბადებული ავტომობილის მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა.

არსებული ინფორმაციით, ავტომობილში მხოლოდ მძღოლი იმყოფებოდა.

ინტერპრესი

## ცინცხალი ანეკდოტები

**დაშა** არ სვამდა და არც ეწეოდა. ღამღამობით ქუჩაში არ დაწანწალებდა. საღამოს ათზე წვებოდა და დილის ექვსზე დგებოდა. იყო ძალიან ჩუმი, წყნარი და მორჩილიც კი... მუშაობდა... მაგრამ როგორც კი პატიმრობიდან გაათავისუფლეს, ყველაფერი შეიცვალა...

* * *

**ორი** ბიჭი კაფეში ყავას სვამს.

– ბიჭო, ნახე, რა ლამაზი გოგოები სხედან მეზობელ მაგიდასთან! მივიდეთ, გავეცნოთ, – ეუბნება ერთი მეორეს.

– არა, ჯერ დავიცადოთ, სანამ ოფიციანტს ფულს გადაუხდიან...

* * *



– **ვერაფრით** ვერ გამიგია, მთელი თვე რაში დაგჭირდათ ამ რაღაც შარვლის შესაკერად! ღმერთმა სამყარო სულ რაღაც ექვს დღეში შექმნა, თქვენ კი...

– ყმაწვილო, თქვენ ამ სამყაროსაც შეხედეთ დაკვირვებული თვალით და მერე – ამ შარვალსაც!

* * *

– **როგორ** გრძნობს თავს თქვენი ქმარი? კვლავ იტანჯება მთვარეულობით?

– არა, ამისგან თავი, ღვთის წყალობით, დაიძვრინა.

– ნუთუ მორჩა?

– არა, ბოლოს და ბოლოს სახურავიდან გადმოვარდა.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24